ჩვენი სოფელი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა

მაისი/2016 ▪ N8

26 მაისი

ეს დღე ჩვენია

ნომერშია:

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ანგარიში 2013 - 2016 (აპრილი)

რჩევა ფერმერებისთვის პომიდვრის აგროტექნოლოგია

„აგროდაზღვევის" პროგრამა

ხორბლის წარმოების საინვესტიციო შესაძლებლობები

ათეული წლები ვოცნებობდით დამოუკიდებელ საქართველოზე, ვოცნებობდით:

. თავისუფალ არჩევანზე . დემოკრატიულ ინსტიტუტებზე . ქართულ დროშაზე და ჰიმნზე . ეროვნულ ვალუტაზე ევროკავშირზე . ქართულ ჯარზე და ნატოსთან თანამშრომლობაზე

25 წლის წინ საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა

დღეს ეს მონაპოვარი არის სტიმული, რომ ვიმოქმედოთ, გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა და ვაშენოთ ძლიერი ქვეყანა.

26 მაისი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეა!

საქართველო, თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6 ელ-ფოსტა: infomoa@moa.gov.ge ცხელი ხაზი(+995 32) 247 01 01

www.moa.gov.ge

26 მაისი

ეს დღე ჩვენია



სკვები. 1900-1905 წ.წ.
ავტ. კონსტანტინე ზანისი



აბრეშუმის გამოცდის ლაბორატორია.
1900-1905 წ.წ. ავტ. კონსტანტინე ზანისი

მეაბრეშუმეობის სადგურის ქიმიური ლაბორატორია.
1900-1905 წ.წ. ავტ. კონსტანტინე ზანისი

აბრეშუმის ჭია თაროებზე 1900-1905 წ.წ.
ავტ. კონსტანტინე ზანისი

ღვინის დაწურვა.
მხატვარი გიგო გაბაშვილი

კასრების ღვინისთვის დამზადება. მხატვარი გიგო გაბაშვილი

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

Tiflis. Ecole d'horticulture.

მებაღეობის სკოლა თბილისში. 1900-1905 წ.წ.

ავტ. კონსტანტინე ზანისი

Caféière, gouvernement de Tiflis. Traitement contre le mildiou.

კახეთი. ვენახის შეწამვლა. 1900-1905 წ.წ.

ავტ. კონსტანტინე ზანისი

Plantation en pépinière.

ხეხილის დარგვა. 1900-1905 წ.წ.

ავტ. კონსტანტინე ზანისი

Ruches industriel. Ruches pour l'élevage des jeunes Caféières.

სკები. 1900-1905 წ.წ.

ავტ. კონსტანტინე ზანისი

ღვინისთვის გამზადებული კასრები. მხატვარი გიგო გაბაშვილი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ნოე ხომერიკი. 1918-1921 წ.წ.
ავტორი გრინევიჩი

ნოე გიორგის ძე ხომერიკი დაიბადა 1884 წელს, ოზურგეთის რაიონში. პროფესიით ჟურნალისტი ეროვნულ მოძრაობაში არჩეულ იქნა მიწათმოქმდების მინისტრის თანამდებობაზე

ნოე ხომერიკის ხელმძღვანელობით მიწათმოქმედების სამინისტრომ გაატარა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით სამინისტრომ არსებობა შეწყვიტა.

ყურძნის დაწურვა საწნეხელში. 1900-1905 წ.წ.
ავტ. კონსტანტინე ზანისი

ღვინის სარდაფი მუხრანში.
მხატვარი გიგო გაბაშვილი

რთველი კახეთში. 1900-1905 წ.წ.
ავტ. კონსტანტინე ზანისი

კახეთი. კასრების რეცხვა. 1900-1905 წ.წ.
ავტ. კონსტანტინე ზანისი

ყურძნის დასაწური ხელსაწყოები.
მხატვარი გიგო გაბაშვილი

მუხრანი. რთველი. მხატვარი გიგო გაბაშვილი

კასრების დამამზადებელი სახელოსნო. მხატვარი გიგო გაბაშვილი

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

ჩაქვის ჩაის პლანტაციები.1900-1905 წ.წ.
ავტ. კონსტანტინე ზანისი

ჩაქვის ჩაის ქარხანა. 1900-1905 წ.წ.
ავტ. კონსტანტინე ზანისი

ქვევრი. 1870-1910 წ.წ.
ავტორი დიმიტრი ერმაკოვი

ქუთაისის გუბერნია. ახალი-ათონი.
ციტრუსის ხე. 1900-1905 წ.წ.
ავტორი კონსტანტინე ზანისი

ქართველი ქალები არჩევენ ლერწამს ვაზის დასამყნობად.
კახეთი, 1900-1905 წ.წ. ავტ. კონსტანტინე ზანისი

მავთულზე გაჭიმული ვენახის ზვრები. 1900-1905 წ.წ.
ავტ. კონსტანტინე ზანისი

სოფლის მეურნეობის იარაღი. 1870-1910 წ.წ.
ავტორი დიმიტრი ერმაკოვი

აბრეშუმის დამზადების განყოფილება.
1900-1905 წ.წ.
ავტორი კონსტანტინე ზანისი

აბრეშუმის საქსოვი დაზგა. 1900-1905 წ.წ.
ავტ. კონსტანტინე ზანისი

აბრეშუმის ჭიის საჭმელი ხეები. 1900-1905 წ.წ.
ავტ. კონსტანტინე ზანისი

- მეწარმეებისა და ფერმერებისთვის იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობის მიზნით, 2013 წლიდან დაიწყო შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის განხორციელება.

31.03.2016 მდგომარეობით, სულ გაცემულია 26,026 კრედიტი. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, ლარში გაცემულია 24,320 კრედიტი, გაცემული თანხა შეადგენს 688,814,195 ლარს. აშშ დოლარში გაცემული სესხების რაოდენობა შეადგენს 1,706 კრედიტს, გაცემული თანხა შეადგენს 193,445,352 აშშ დოლარს.

სულ დაფინანსებულია 148 ახალი საწარმო.

(შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით - 131, აწარმოე საქართველოში პროგრამის ფარგლებში - 5, გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტით - 12).

გაძლიერდა/გაფართოვდა 700 საწარმო.

ეროვნული ბანკის 2013 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, სოფლის მეურნეობის დაფინანსებაზე გაცემული (იურიდიულ პირებზე) სესხების პორტფელი ქვეყნის მასშტაბით შეადგენდა 56 მლნ ლარს. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის დაწყების შემდეგ, 01.04.2016 მდგომარეობით, საკრედიტო პორტფელი შეადგენს 306 მლნ ლარს.

- აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარების მიზნით, 2014 წლის სექტემბრიდან აგროდაზღვევის პროგრამა დაიწყო.

2014-2015 წლებში, აგროდაზღვევის პროგრამით, ჯამში 28,690 პოლისია გაცემული. დაზღვეულია 193,343,048 მილიონი ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა. დაზღვეულია 23,667 ჰა-მდე მიწის ფართობი.

2014-2015 წლის პროექტის ფარგლებში, ზარალმა სულ შეადგინა 14,336,249 ლარი, საიდანაც სადაზღვევო კომპანების მიერ ანაზღაურებული ზარალის ოდენობა შეადგენს 13,769,897 ლარს. ასანაზღაურებელი ზარალი შეადგენს 566,352 ლარს.

- გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში დამტკიცებულია 28 პროექტი.

დამტკიცებული პროექტების ჯამური თანხა შეადგენს 18,746,618 აშშ დოლარს, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება შეადგენს 6,710,445 აშშ დოლარს. დაფინანსებული საწარმოებიდან 8 საწარმო გახსნილია და 4 საწარმოს მშენებლობა დასრულების სტადიაშია. დანარჩენი საწარმოები პროექტით განსაზღვრული წინა პირობების შესრულების ეტაპზე იმყოფებიან.

2014-2016 წლებში, სააგენტოს თანადაფინანსების სახით, სულ გაცემულია თანხა 3.7 მლნ აშშ დოლარის (31.03.2016 მდგომარეობით) ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

- 2013 წლიდან, ყოველწლიურად, „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში, დახმარებას 800 000 - მდე გლეხი იღებს და 220 ათას ჰექტარზე მეტი მიწა მუშავდება.

2013 წელს, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 710,479 ბენეფიციარმა 190,466,914 ლარის სარგებელი მიიღო. პროექტის ფარგლებში, ჯამში, 208,375 ჰა სასოფლო–სამეურნეო მიწის ფართობი დამუშავდა.

2014 წელს, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 757,145 ბენეფიციარმა 69,954,923 ლარის სარგებელი მიიღო. პროექტის ფარგლებში, ჯამში, 220,466 ჰა სასოფლო–სამეურნეო მიწის ფართობი დამუშავდა.

2015 წელს, პროექტის ფარგლებში, 767,018 ბენეფიციარმა ნიადაგის ხვნის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახით მიიღო 48,162,056 ლარის ღირებულების სარგებელი. ჯამში, მოხნულმა მიწის ფართობმა 225,200 ჰა შეადგინა.

2015 წელს, „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში“, დამატებით ორი ღონისძიება განხორციელდა:

- საოკუპაციო ხაზის მიმდებარე 44 სოფელში მცხოვრებ 1503 ადგილობრივ ფერმერს გაეწია 155,239 ლარის ღირებულების მომსახურება მარცვლეული კულტურების აღებაში. ჯამში ,თავთავიანი კულტურების აღება 1,764 ჰექტარზე განხორციელდა.
- 2015 წლის აგვისტო-სექტემბერში, სეტყვის შედეგად, ყვარლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში დასეტყვილი სოფლების მოსახლეობას უსასყიდლოდ გადაეცა სპილენძის შემცველი პრეპარატები მრავალწლიანი ნარგავების შესაწამლად. შედეგად, 1,510 ბენეფიციარმა 65,316 ლარის ღირებულების პრეპარატები უსასყიდლოდ მიიღო. სუბსიდია გაიცა 1005 ჰა მიწის ნაკვეთზე გაშენებულ მრავალწლიან კულტურებზე.

აღნიშნული 2 ქვეპროექტი წარმოადგენდა „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ნაწილს. შესაბამისად, პროექტის ფარგლებში, 2015 წელს ბენეფიციარებმა ჯამურად მიიღეს 48,368,778 ლარის ღირებულების სარგებელი.

- 2015 წლის 6 მარტიდან დაიწყო პროექტი „დანერგე მომავალი“ .

პროექტის ფარგლებში, სულ შემოსულია 117 განაცხადი, მათ შორის, 4 განაცხადი სანერგე მეურნეობის თანადაფინანსების კომპონენტის, ხოლო 113 განაცხადი, მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში. 2015 წელს, ჯამში 113 ბენეფიციარს დაუმტკიცდა განაცხადი, სადაც სააგენტოს ჯამური თანადაფინანსება ნერგებსა და სარწყავ სისტემებზე შეადგენს 4,204,166 ლარს. აღნიშნული პროექტების განხორციელებით გაშენდა/გაშენების პროცესშია 787 ჰექტარი ახალი მრავალწლიანი სხვადასხვა კულტურის ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური თანამედროვე ტიპის ბაღები.

- არასტანდარტული ვაშლისა და არასტანდარტული მანდარინის შესყიდვის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა ვაშლისა და მანდარინის რეალიზაციის ხელშეწყობის პროექტები.

2014 წელს, პროექტის ფარგლებში შესყიდული არასტანდარტული ვაშლის რაოდენობამ შეადგინა 43,376 ტონა, სუბსიდიის თანხამ - 3,470,134 ლარი.

2014-2015 წლებში, პროექტის ფარგლებში შესყიდული არასტანდარტული მანდარინის რაოდენობამ შეადგინა 10, 358 ტონა, სუბსიდიის თანხამ - 1 035 810 ლარი.

2015-2016 წლებში, პროექტის ფარგლებში შესყიდული არასტანდარტული მანდარინის რაოდენობამ შეადგინა 9, 252 ტონა, სუბსიდიის თანხამ - 925,222 ლარი.

- 2015 წელს შემუშავდა სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“ (განხორციელება 2016 წელს დაიწყო), რომლის მიზანია: საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება; როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია; ადგილობრივი ჩაის (მათ შორის, ბიოჩაი) წარმოების ზრდის ხელშეწყობა.

- 2014 წლის მარტში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ საერთაშორისო აკრედიტაცია მიიღო და ISO 17 025 სტანდარტი დაინერგა, რაც საერთაშორისოდ აღიარებულს ხდის ყველა იმ გამოკვლევის შედეგს, რომელსაც ლაბორატორია ჩაატარებს. ლაბორატორიაში დანერგილია ISO 9001:2008 მოთხოვნის შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემა.

ლაბორატორია მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს დიაგნოსტიკას როგორც მცენარეთა და ცხოველთა დაავადებების, ასევე სურსათის უვნებლობის მიმართულებით.

მთელი ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს ლაბორატორიული ქსელი, რომელიც მოიცავს 3 ზონალურ დიაგნოსტიკურ ლაბორატორიას (თბილისი, ქუთაისი, ახალციხე) და 8 რეგიონულ ლაბორატორიას (გორი, მარნეული, დუშეთი, გურჯაანი, ამბროლაური, ოზურგეთი, ზუგდიდი, ბათუმი).

2015 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტისა და ევროკავშირის ერთობლივი ფინანსური რესურსით, ახალი შენობა აიგო სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფიტოსანიტარული დეპარტამენტისთვის, სადაც განთავსდა შესაბამისი ლაბორატორია და აღიჭურვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

- 2013 წლიდან დღემდე (2016 წლის აპრილი), საქართველოს მასშტაბით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მინიჭებული აქვს 1459 რეგისტრირებულ კოოპერატივს. კოოპერატივებში გაერთიანებულია 12370 მეპაიე. სტატუსის მქონე კოოპერატივებში მობილიზებული კაპიტალი შეადგენს 23 798 052 ლარს. სტატუსის მქონე კოოპერატივებში მობილიზებული მიწის საერთო ფართობი შეადგენს 23 470 ჰექტარს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებითა და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, 647 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა მიიღო 1490 აგროკომპლექტი და 200 ხელის სათესი.

სახელმწიფო პროგრამის „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის გზით“ ფარგლებში, ზუგდიდში აშენდა თხილის საწარმო. (მიღებულია გადაწყვეტილება საწარმო იჯარით 1 ლარად გადაეცეს 599 კაციან კოოპერატივს „დარჩელის თხილი“).

დაიწყო „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“ და „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“.

- საქართველოს აგრარულ სექტორში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის აღდგენის მიზნით, შეიქმნა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

ცენტრში მიმდინარე საქმიანობამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობის დარგში არსებული პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას, მოსავლიანობის ზრდას, თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიის დანერგვას, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში რისკის შეფასების უზრუნველყოფას საუკეთესო პრაქტიკის, სამეცნიერო გამოცდილების საშუალებითა და მათზე დაყრდნობით.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში მიმდინარეობს:

ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების კვლევა-მოძიება; ბიოაგროწარმოების კვლევა; საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების,

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ანგარიში 2013 – 2016 (აპრილი)

ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების მოძიება; რისკის მართვის ორგანოებისა და სამეცნიერო აკადემიური წრეების მიერ ინიცირებული სურსათთან ასოცირებული საფრთხეების შეფასება; აგროსაინჟინრო კვლევები; თესლის და სარგავი მასალების სტანდარტების შემუშავება და სერტიფიცირება; მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემების კვლევა-დანერგვა; სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების თანამედროვე მეთოდების სამეცნიერო კვლევა; საქართველოს მიწის ფონდის შესწავლა; თავთავიანი კულტურების კვლევა; სიმინდის სელექცია და პირველადი მეთესლეობა საქართველოში; ეკონომიკური ანალიზი და სტრატეგიული კვლევა; ექსტენცია და სწავლება.

- 2013, 2014 და 2015 წლებში, რთველის წარმატებით ჩატარების მიზნით, ამოქმედდა სუბსიდიისა და შეღავათიანი აგროსესხების პროგრამა.

2015 წელს, კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში გადამუშავებულია 143,1 ათასი ტონა ყურძენი, რაც ბოლო დაახლოებით 25 წლის რეკორდული მაჩვენებელია. მოსავლის რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 107 მლნ ლარს მიაღწია. მოსახლეობაზე გაცემულმა სუბსიდიამ 35,7 მლნ ლარი შეადგინა.

2013-2014-2015 წლებში, მევენახეებმა კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში, ჯამში, 400 მლნ ლარი შემოსავალი მიიღეს.

2013 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის პირველ მაისამდე ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო 150-მდე საერთაშორისო გამოფენასა და ღონისძიებაზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, ევროკავშირის ქვეყნებში, იაპონიაში, აშშ-ში, ჩინეთში, სამხრეთ კორეაში და სხვა. მოეწყო ათობით ღვინის ტური მედიისა და ღვინის პროფესიონალებისთვის.

ქართული ღვინო მსოფლიო ბაზარზე პროფესიონალებისა და მოყვარულების წინაშე 3 ძირითადი გზავნილით არის წარმოდგენილი:

1. „საქართველო ღვინის აკვანი“ - რაც დაფუძნებულია მრავალ ისტორიულ და არქეოლოგიურ ფაქტსა და წყაროზე, რომ საქართველო მეღვინეობის ერთ-ერთ უძველეს კერას წარმოადგენს;
2. „8 ათასი უწყვეტი რთველი“ - საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც 8 ათასი წლის წინ დაიწყეს ღვინის წარმოება და დღემდე ამ პროცესს წყვეტა არ ჰქონია;
3. 500-ზე მეტი უნიკალური ადგილობრივი ჯიში - ვაზის ჯიშების მრავალფეროვნებით საქართველო გამორჩეული და უნიკალურია მსოფლიოს მეღვინეობით განთქმულ ქვეყნებს შორის. საქართველოში აღწერილია კულტურული ვაზის 500-ზე მეტი ქართული ჯიში.

ცალკე სეგმენტად გამოიყოფა ქართული ქვევრის ღვინო. ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკოს (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

2014 წლის მარტში, საქართველომ უმასპინძლა ღვინის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენციას, ხოლო 2014 წლის აგვისტოში, ღვინის ვაჭრობის მსოფლიოს ჯგუფის (WWTG) მასშტაბურ პლენარულ სხდომას. 2014 წლის აპრილიდან 2015 წლის აპრილამდე, საქართველო WWTG - ის თავმჯდომარე ქვეყანა იყო.

ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, 2016 წლიდან სააგენტო აქტიურ მარკეტინგულ კამპანიას აწარ-მოებს აშშ-ში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, პოლონეთში, დიდი ბრიტანეთსა და იაპონიაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, ფესტივალები და კონკურსები იმართება საქართველოში: „ახალი ღვინის ფესტივალი”, „Wine Expo”, „Telavino” და სხვა. 2014 და 2015 წლების 4 ოქტომბერს აღინიშნა „ქართული ღვინის დღე“, რომლის ფარგლებშიც ღონისძიებები თბილისში, კახეთსა და საქართველოს სხვა მევენახეობის რაიონებში გაიმართა.

- ექსპორტი

2013 წელს, საქართველოდან ექსპორტირებული იყო 46,7 მლნ ბოთლი ღვინო, რაც 2-ჯერ აღემატებოდა 2012 წლის ექსპორტის მონაცემებს.

2014 წელს, ბოლო 20 წლის განმავლობაში რეკორდული რაოდენობის - 60 მლნ ბოთლამდე - ღვინო გავიდა ექსპორტზე.

2015 წელს, მსოფლიოს 46 ქვეყანაში ექსპორტირებული იყო 36 071 399 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც თანხობრივად 98 102 614 აშშ დოლარს შეადგენს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ქართული ღვინის ექსპორტის ზრდამ 122%-ს მიაღწია. ექსპორტის ზრდა ფიქსირდება ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში: პოლონეთი 3% (1 600 302 ბოთლი), ლიტვა - 4% (658 666), ესტონეთი - 54% (506 124), ნიდერლანდები - 58% (51 432), საფრანგეთი - 190% (37 956), დანია - 100% (34 840) და სხვა. ასევე აღსანიშნავია ექსპორტის ზრდა ისეთ სტრატეგიულ ბაზრებზე, როგორიცაა აშშ - 31% (248 075), კანადა - 48% (157 836), იაპონია - 5% (138 290), ექსპორტი გაიზრდა ყირგიზეთში - 79% (185 514), ისრაელში - 48% (35 820), კორეაში - 37% (24 054) და სხვა.

2016 წლის პირველ კვარტალში, საქართველოდან მსოფლიოს 26 ქვეყანაში ექსპორტირებულია 7 694 748 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 51%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 18 144 738 აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 20%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

- 2014 წელს, ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი პროგრამის - ვენახების კადასტრის - მასშტაბური პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტი 2014 წელს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში განხორციელდა, ხოლო 2015 წელს კახეთში, ყვარლის რაიონში. პროგრამა გრძელდება 2016 წელსაც და ეტაპო-ბრივად კახეთის სხვა რაიონებსაც მოიცავს.

- 2015 წელს, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა რძის, თაფლისა და ხორბლის ფქვილის ტექნიკური რეგლამენტები და საქართველოს კანონი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირების შესახებ.

შემუშავდა და დამტკიცდა თხილის ტექნიკური რეგლა-მენტი, რომელიც ძალაში 2016 წლის პირველი ივნისიდან შევა. მიმდინარეობს მუშაობა პურისა და ჩაის შესახებ ტექნიკურ რეგლამენტებზე.

მიღებულია ტექნიკური რეგლამენტი საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ, რომელიც 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება.

- 2012 წლიდან დღემდე, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მომხმარებელთა ინტერესების დაცვისა და სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით. გაიზარდა სამომხმარებლო ბაზარზე განთავსებული სურსათის კონტროლი, ვადაგასული სურსათის რეალიზაციის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა, ლაბორატორიული კვლევების რაოდენობა. გამკაცრდა ღვინის კონტროლი, რომლის მიზანიც მომხმარებელთა ინტერესების და ქართული ბაზრის ფალსიფიკაციისგან დაცვაა.

ხორციელდება თურქულის, ჯილეხის, ცოფის, ნოდულარული დერმატიტის, ცხვრისა და თხის ყვავილის, ყირიმ-კონგოს საწინააღმდეგო ვაქცინაციები მთელი ქვეყნის მასშტაბით. ასევე, ბრუცელოზის საწინააღმდეგო კვლევები.

2012 წლიდან მიმდინარეობს მსხვილფეხა პირუტყვის და 2015 წლის ბოლოს დაიწყო წვრილფეხა ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროგრამა, რომელიც გულისხმობს ცხოველების ნიშანდებას და ინდივიდუალური კოდის მინიჭებას. დღეისათვის იდენტიფიცირებულია მილიონ 900 ათასი ცხოველი. (გაიზარდა ბიუჯეტის მოცულობა - 2013 წლიდან ეტაპობრივად მოიმატა 2 მილიონი ლარიდან 8 მილიონ ლარამდე).

მაშტაბური ღონისძიებების შედეგად, დასავლეთ საქართველოში მინიმუმამდე შემცირდა ამერიკული თეთრი პეპლის მიერ გამოწვეული ზარალი.

აღმოსავლეთ საქართველოში კალიების გავრცელების წინააღმდეგ დამუშავდა 100000 ჰექტარზე მეტი სავარგული.

2015 წელს პირველად განხორციელდა კოღოების საწინააღმდეგო ღონისძიებები დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში, სადაც დამუშავდა 1400 ჰექტარი ფართობი.

- 2012 წლისთვის წყალუზრუნველყოფილი იყო მხოლოდ 45 000 ჰექტარი, ხოლო ჭარბი წყლის მოცილება ხორციელდებოდა 14 000 ჰექტარზე.

უკანასკნელ სამ წელიწადში (2012 წლის ნოემბრიდან 2016 წლის მაისამდე) განხორციელდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 122 სარეაბილიტაციო პროექტი. რეაბილიტაციის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, აღდგა 1 890 კმ სამელიორაციო არხი, 27 ერთეული სათავე ნაგებობა, 13 ერთეული სატუმბი სადგური.

ექსპლუატაციის ფარგლებში, 2013 წლიდან 2016 წლის მაისამდე, საქართველოს მასშტაბით, გაიწმინდა/ მოწესრიგდა 5 665 კმ სამელიორაციო არხი. სულ შეკეთდა 3 731 ერთეული ჰიდროტექნიკური ნაგებობა.

დღეისათვის წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი შეადგენს 104 000 ჰექტარს, ხოლო დაშრობილია 28 500 ჰექტარი.

დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით, მიმდინარეობს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 27 სარეაბილიტაციო პროექტი, სამუშაოების ჯამური ღირებულებით 35 700 000 ლარი, რომელთა დასრულების შემდეგ, რეგულარულად რწყვა დამატებით 9 945 ჰექტრამდე მიწის ფართობზე გახდება შესაძლებელი, წყლის მიწოდება გაუმჯობესდება 15 900 ჰექტარ მიწის ფართობზე, ხოლო დაშრობა და ჭარბი წყლის მოცილება მოხდება 9 365 ჰექტარზე.

შპს. „საქართველოს მელიორაციაში“ 2015 წელს შეიქმნა მობილური მელიორაციის სამსახური, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ისეთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთების წყლით უზრუნველყოფა, რომლებსაც წყალი სატუმბი ინფრასტრუქტურის განუვი-თარებლობის გამო ჯერ-ჯერობით არ მიეწოდება.

2016 წელს იგეგმება სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 75 სარეაბილიტაციო პროექტის დაწყება, სამუშაოების ჯამური სავარაუდო ღირებულებით 62 700 000 ლარი. 2016 წელს დასრულდება ნარეკვავისა და იაკუბლოს წყალსაცავების (I ეტაპის) რეაბილიტაცია.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე „აგროდაზღვევის" პროგრამა (შემდგომში პროგრამა) არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა, საქართველოს ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევასთან დაკავშირებით (სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა), მზღვეველს, დამზღვევს/მოსარგებლესა და სააგენტოს შორის.
2. პროგრამის მიზანია:

ა) აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება;

ბ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა;

გ) სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

დ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირება.

3. პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).
4. პროგრამის განხორციელების მიზნით, სააგენტო აფორმებს ხელშეკრულებებს საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზირებულ შესაბამის სადაზღვევო კომპანიებთან, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.
5. მზღვეველს, დამზღვევსა და სააგენტოს შორის ურთიერთობები (როგორიცაა: მზღვეველისა და დამზღვევის უფლება-მოვალეობები, ზიანის რეგულირების პროცესი და სხვა) განისაზღვრება წინამდებარე განკარგულებითა და სააგენტოსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.
6. პროგრამის ფარგლებში, სადაზღვევო პოლისის გაცემის ბოლო ვადაა 2016 წლის 30 ნოემბერი. ამასთან, პროგრამის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები ძალაში რჩება მათ სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე პროგრამაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მზღვეველი - იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის ლიცენზია;

ბ) დამზღვევი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი, საიდანაც პროგრამის ფარგლებში დაზღვევას ექვემდებარება არა უმეტეს 5 ჰა (მარცვლეული კულტურის დაზღვევის შემთხვევაში - არა უმეტეს 30 ჰა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი და გაფორმებული აქვს დაზღვევის ხელშეკრულება;

შენიშვნა: თუ დამზღვევი არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მასზე არ გავრცელდება პროგრამით გათვალისწინებული მიწის ფართობის ოდენობის შეზღუდვა. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიმართ გამოიყენება N1 დანართით განსაზღვრული ტარიფები.

გ) მოსარგებლე - დამზღვევი ან/და დამზღვევის მიერ განსაზღვრული ბანკი, მიკროსაფინანსო ან/და საკრედიტო ინსტიტუტი, რომელიც იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას;

დ) სადაზღვევო პოლისი - მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი, რომელიც დაზღვევის განაცხადსა და წინამდებარე განკარგულებასთან ერთად წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულებას;

ე) დაზღვევის ობიექტი - სადაზღვევო პოლისში მითითებული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავალი, რომელიც მოიყვანება პოლისში მითითებულ მიწის ნაკვეთზე;

ვ) დაზღვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურა - სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისის - „სასოფლო-სამეურნეო კულტურის" გრაფაში;

ზ) დაზღვევის პერიოდი - სადაზღვევო პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია, პროგრამის განსაზღვრული პირობების/შეზღუდვების და მოცდის პერიოდის გათვალისწინებით;

თ) მოცდის პერიოდი - სადაზღვევო პოლისის გაცემის თარიღიდან 5-დღიანი უწყვეტი კალენდარული პერიოდი, რომლის განმავლობაში მომხდარი სადაზღვევო რისკის შედეგად მიყენებული ზიანი არ ექვემდებარება ანაზღაურებას;

ი) დაზღვევის განაცხადი - მოსავლის დაზღვევის განაცხადი, რომელსაც ავსებს დამზღვევი დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად და რომელიც წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების დადების საფუძველსა და მის განუყოფელ ნაწილს;

კ) სადაზღვევო ლიმიტი - სადაზღვევო პოლისით დადგენილი მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა, მაგრამ არა უმეტეს წინამდებარე პროგრამით შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის განსაზღვრული ნორმატიული მოსავლიანობისა და აგრო-კულტურების ნორმატიული ფასების გათვალისწინებით განსაზღვრული ოდენობა (დანართი N1);

ლ) დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის სადაზღვევო ლიმიტი - სადაზღვევო ლიმიტის პროცენტი, რომელიც განისაზღვრება დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის შეფარდებით დაზღვეულ ტერიტორიასთან;

მ) დაზღვეული ტერიტორია (ნაკვეთი) - მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია დაზღვევის ობიექტი, რომლის მონაცემები (საკადასტრო კოდი ან/და GPS კოორდინატი ან/და აზომვითი ნახაზი, ადგილმდებარეობის მისამართი და ფართობი) მითითებულია სადაზღვევო პოლისში, დამზღვევის მიერ წარდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომლის ინფორმაციულ უტყუარობაზეც სრულად პასუხისმგებელია დამზღვევი, გარდა GPS კოორდინატის მონაცემებისა, რომლის მიწოდებაზეც პასუხისმგებელია მზღვეველი;

ნ) ფიქსირებული სადაზღვევო ტარიფი - წინამდებარე განკარგულების N1 დანართით განსაზღვრული პროცენტული განაკვეთი;

ო) სადაზღვევო პრემია - თანხა, რომელიც გადაიხდება სადაზღვევო მომსახურების გაწევისათვის. ამასთან, დამზღვევმა მისი წილი პრემია სრულად და ერთჯერადად უნდა გადაიხადოს სადაზღვევო პოლისის გაცემის მომენტისათვის, ხოლო პრემიის სუბსიდირებული ნაწილი სააგენტოს მიერ გადაიხდება წინამდებარე პროგრამით განსაზღვრული წესით. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ერთ დამზღვევზე/მოსარგებლეზე გადასახდელი პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს;

პ) ფრანშიზა - არაანაზღაურებადი მინიმუმი, რომლის გამოქვითვა ხორციელდება თითოეული სადაზღვევო შემთხვევისათვის. ფრანშიზა გამოითვლება როგორც სადაზღვევო ლიმიტის 10% ან მისაღები მოსავლის ოდენობის სადაზღვევო ანაზღაურების გაანგარიშებისას გამოყენებულ ფასზე გამრავლებით მიღებული ღირებულების 10%. მითითებული 2 სიდიდიდან გამოიქვითება ის ოდენობა, რომელიც უფრო მცირე იქნება;

ჟ) სადაზღვევო რისკი - ამ ქვეპუნქტში მითითებული მოვლენა, რომლის დადგომის შედეგად მიყენებული ზიანი ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას, წინამდებარე პროგრამით გათვალისწინებული წესით:

ჟ.ა) სეტყვა - ატმოსფერული ნალექები ყინულის წარმონაქმნების სახით (მცირე მარცვლიდან მსხვილი კვერცხისოდენა ზომის წარმონაქმნამდე), რომლებიც, როგორც წესი, ზაფხულში თან ახლავს კოკისპირულ წვიმას ან ჭექა-ქუხილს. სეტყვა იწვევს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანებას ან განადგურებას მცენარეთა მიწისზედა ორგანოებზე უშუალო მექანიკური ზემოქმედებიხ შედეგად;

ჟ.ბ) ჭარბი ნალექი - უხვი ნალექების შედეგად იმ მიწის ზედაპირის გადარეცხვა ან/და დატბორვა გრუნტის ან/და შლამის (მიწა-წყლის) ან/და წყლის ნაკადით, რომელიც ჩვეულებრივ არ არის დაფარული წყლით. იწვევს მცენარეთა დაზიანებას ან/და განადგურებას მათ მიწისქვეშა და მიწისზედა ნაწილებზე მექანიკური ზემოქმედების შედეგად, მათ მოგლეჯას ნიადაგიდან, ნიადაგის გამორეცხვას ან დაშლამიანებას. ასევე იწვევს წყლის დაგუბებას სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, შედეგად მცენარეთა დაზიანებას ან/და განადგურებას ფიზიოლოგიური პროცესების დარღვევის შედეგად;

ჟ.გ) ქარიშხალი - ქარი სიჩქარით -15 მ/წმ ან მეტი, რომელიც იწვევს მცენარეების გაძლიერებულ ტრანსპირაციას, ნიადაგის ზედა ფენების გამოშრობას, მცენარეების მექანიკურ დაზიანებებს;

ჟ.დ) საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის) - პირველი სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში ტემპერატურის მკვეთრი ვარდნა, რომელსაც შედეგად მოჰყვება დაზღვეული ციტრუსოვანი კულტურის თბური დაზიანება ან განადგურება;

რ) სადაზღვევო შემთხვევა - სადაზღვევო რისკების ხდომილების შედეგად დაზღვევის ობიექტისათვის ზიანის მიყენება, რომლის საფუძველზეც, წინამდებარე პროგრამის თანახმად, წარმოიშობა მზღვეველის პასუხისმგებლობა, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება;

ს) მისადები მოსავალი - მოსავალი, რომელიც მითითებულია დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტში, როგორც მოსავალი, რომელსაც დამზღვევი/მოსარგებლე მიიღებდა, ადგილი რომ არ ჰქონოდა სადაზღვევო რისკის ხდომილებას;

ტ) სადაზღვევო შემთხვევის შესახებ წერილობითი განაცხადი - დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის წინამდებარე განკარგულებით დადგენილი წესით წარდგენილი ხელმოწერილი განაცხადი, რომლითაც დამზღვევის მიერ აღწერილია სადაზღვევო შემთხვევის ნიშნების მატარებელ მოვლენასთან დაკავშირებული გარემოებები და მოთხოვნილია სადაზღვევო ანაზღაურება. სადაზღვევო შემთხვევის შესახებ წერილობითი განაცხადი წარმოადგენს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტის შედგენისათვის აუცილებელ დოკუმენტს;

უ) დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტი - დოკუმენტი, რომელიც დგება მზღვეველის (ან მზღვეველის მიერ მოწვეული ექსპერტის) მიერ და რომელსაც ხელს აწერენ მზღვეველი და დამზღვევი/მოსარგებლე და რომლითაც დასტურდება დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) მზღვეველის მიერ დათვალიერებისა და კონკრეტული შემთხვევის ხდომილებით გამოწვეული ზიანის ოდენობა. დაზღვეული ტერიტორიის დათვალიერების აქტი დგება 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა დამზღვევს/მოსარგებლეს, ხოლო მეორე რჩება მზღვეველთან;

ფ) სადაზღვევო ანაზღაურების აქტი - დოკუმენტი, რომელიც დგება მზღვეველის მიერ და ხელს აწერენ მზღვეველი და დამზდვევი/მოსარგებლე და რომელიც დგება

დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტ(ებ)ისა და ასეთი აქტ(ებ)ით დადგენილი ზიანის ოდენობისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტაციის საფუძველზე და განსაზღვრავს მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევის ხდომილების გამო გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების თანხის ოდენობას. სადაზღვევო ანაზღაურების აქტი დგება 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა დამზღვევს/მოსარგებლეს, ხოლო მეორე რჩება მზღვეველთან. სადაზღვევო ანაზღაურების აქტი წარმოადგენს მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს, წინამდებარე პროგრამის პირობების შესაბამისად;

ქ) ნორმატიული მოსავლიანობა, ნორმატიული ფასი - წინამდებარე პროგრამის მიზნებისათვის, თითოეული სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის წინამდებარე პროგრამის N1 დანართით განსაზღვრული ნორმატიული მოსავლიანობა და ნორმატიული ფასი, რომლის ლიმიტს ზემოთ არ ხორციელდება დაზღვევა და არ გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება;

ღ) სადაზღვევო ანაზღაურება - თანხა, რომელსაც მზღვეველი უხდის მოსარგებლეს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად;

ყ) სააგენტო - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

მუხლი 3. სადაზღვევო ანაზღაურების პირობები

1. დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე, მზღვეველი ვალდებულია, სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში და ფრანშიზის გამოკლებით გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის მოქმედების პერიოდში სადაზღვევო რისკის დადგომის შედეგად დაზღვევის ობიექტის დაზიანების შემთხვევაში, წინამდებარე პროგრამით დადგენილი წესებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით.
2. სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების წესი:

ა) მოვლენის დადგომისას, რომელიც ატარებს სადაზღვევო შემთხვევის ნიშნებს, დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია, შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე მზღვეველს 24 საათის განმავლობაში, სატელეფონო ზარით. ამავდროულად, 5 სამუშაო დღეში ტელეფონით ან ელექტრონულად მზღვეველთან დააზუსტოს შემდეგი ინფორმაცია: დამზღვევის პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი, სადაზღვევო პოლისის ნომერი, დამზღვევის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, დაზღვეული დაზიანებული ნაკვეთის ადგილმდებარეობა, ფართობი და განხორციელებული რისკი. დამზღვევის/მოსარგებლის იდენტიფიცირებიდან 30 კალენდარულ დღეში დამზღვევი წერილობითი განცხადებით მიმართავს მზღვეველს. მზღვეველი დამზღვევის/მოსარგებლის იდენტიფიცირებიდან 30 კალენდარულ დღეში ადგენს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტს. თუ ამ ვადაში მზღვეველი არ შეადგენს დაზღვეული ტერიტორიის (ნაკეეთის) დათვალიერების აქტს, იგი გადაუხდის სააგენტოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 50 (ორმოცდაათი) ლარს. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს თანხა აღემატება 500 (ხუთასი) ლარს, მზღვეველი ვალდებულია, გააფორმოს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკეეთის) დათვალიერების აქტი დაუყოვნებლივ. პირგასამტეხლოს თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მზღვეველს დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკეეთის) დათვალიერების აქტის შედგენისგან. ამასთან, მზღვეველი თავისუფლდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან სრულად იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი წერილობითი განცხადებით არ მიმართავს მზღვეველს დამზღვევის იდენტიფიცირებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

ბ) სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა ხდება სადაზღვევო ანაზღაურების აქტის ხელმოწერიდან 15 სამუშაო დღეში;

გ) სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ასანაზღაურებელი თანხის 0.1 %-ის ოდენობით დამზღვევის/მოსარგებლის მიმართ;

დ) იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს თანხა გადააჭარბებს ზიანის ანაზღაურებისთვის განკუთვნილი თანხის 10 %-ს, დამზღვევი/მოსარგებლე უფლებამოსილია, მოსთხოვოს მზღვეველს ზიანის ანაზღაურება და შესაბამისი პირგასამტეხლოს გადახდა დაუყოვნებლივ.

3. ზიანის დარეგულირების პროცესში გასაფორმებელი დოკუმენტაცია:

ა) დამზღვევის მიერ შედგენილი და მზღვეველთან წარდგენილი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ წერილობითი განაცხადი;

ბ) დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიის (ნაკვეთის) დათვალიერების აქტი, რომელიც შედგება სააგენტოსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად;

გ) სადაზღვევო ანაზღაურების აქტი, რომელიც შედგება სააგენტოსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ფორმისა და ვადების შესაბამისად.

4. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის შეფასება თითოეული კულტურის მიხედვით მოხდება სააგენტოს მიერ შემუშავებული ზიანის შეფასების საერთო წესის მიხედვით, რომელიც განისაზღვრება სააგენტოსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.
5. ანაზღაურებას არ ექვემდებარება დაზღვევის ობიექტისათვის მიყენებული ზიანი, რომელიც გამოწვეულია:

ა) საყოველთაოდ აღიარებული სასოფლო-სამეურნეო და მოსავლის აღების პრაქტიკის (რომელიც სრულად შეესაბამება კონკრეტულ მიკროზონას და აგროკულტურას) დაუცველობით;

ბ) დაუზღვეველი რისკებით მაშინაც კი, თუ ასეთი ზიანი დადგა სადაზღვევო რისკთან ერთად ან მასთან კავშირში. მიყენებული ზიანი ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მიყენებულია უშუალოდ სადაზღვევო რისკ(ებ)ის შედეგად;

გ) დამზღვევის/მოსარგებლის განზრახი ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით, მათ შორის, დამზღვევის/მოსარგებლის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მოსავლის გადარჩენისა და შენარჩუნების მიზნით, ყველა გონივრული ზომის გამოუყენებლობა ზიანის დადგომისას ან მის შემდეგ.

6. მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება, ასევე:

ა) ზიანი, რომელიც დადგა შემდეგი გარემოებების დროს, ასეთი გარემოებების ფონზე ან მათთან კავშირში:

ა.ა) დაავადებათა, მწერთა და მღრღნელთა გავრცელება, დაგვიანებული მწიფობა და სხვა;

ა.ბ) ზიანი, რომელიც არ აღემატება სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ ფრანშიზას;

ა.გ) სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის მიყენებული დაზიანებები, თუ ასეთი დაზიანებები არ იწვევს ასეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის დაღუპვას/განადგურებას/დანაკარგს;

ბ) ზიანი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია საომარი მოქმედებებით, სამოქალაქო ომით, მასობრივი არეულობით, საგანგებო ან საომარი მდგომარეობით, ტერორიზმით ან მისი ნებისმიერი გამოვლინებით, ისეთი სტიქიური/ბუნებრივი მოვლენებით, რომლებიც არ წარმოადგენს წინამდებარე პროგრამით დაზღვეულ რისკებს, ასევე ამ გარემოებების დროს დამდგარი სადაზღვევო რისკებით გამოწვეული ზიანი.

მუხლი 4. სადაზღვევო პოლისის გაცემის წესი და პირობები

დამზღვევსა და მზღვეველს შორის ფორმდება სადაზღვევო პოლისი, დამზღვევის მიერ წარდგენილი დაზღვევის განაცხადის საფუძველზე. წინამდებარე პროგრამის ფარგლებში, დაიზღვევა მხოლოდ ისეთი მიწის ნაკვეთები, რომლებზეც განთავსებულია დაზღვევის ობიექტი და რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი მონაცემები: საკადასტრო კოდი ან/და აზომვითი ნახაზი ან/და GPS კოორდინატები და ადგილმდებარეობის მისამართი და ფართობი. ამ მონაცემების წარდგენა ევალება დამზღვევს, გარდა GPS კოორდინატების მონაცემებისა, რომელსაც წარადგენს მზღვეველი.

მუხლი 5. მზღვეველის ანგარიშგება, სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება, მზღვეველის პასუხისმგებლობა და სადაზღვევო პოლისების გაყიდვისთვის გასაცემი საკომისიოს ოდენობა

1. მზღვეველი ვალდებულია, სააგენტოს ყოველი კალენდარული თვის დასრულებიდან მომდევნო თვის 20 რიცნვამდე ელექტრონულად წარუდგინოს ანგარიშგება (შემდგომში - ანგარიშგება), შესაბამის თვეში განხორციელებული დაზღვევის შესახებ.
2. მზღვეველის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია, უარი განაცხადოს, ასეთი პოლისების საფუძველზე, სადაზღვევო პრემიის მზღვეველისათვის გადახდაზე.
3. ანგარიშგება სავალდებულო წესით უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) დამზღვევის სახელი, გვარი, პირადი ნომერი/იურიდიული პირის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი;

ბ) გაცემული სადაზღვევო პოლისის ნომერი;

გ) სადაზღვევო პოლისის გაცემის თარიღი;

დ) დაზღვეული მიწის ნაკვეთის მდებარეობის აღმნიშვნელი ინფორმაცია: საკადასტრო კოდი ან/და აზომვითი ნახაზი ან/და GPS კოორდინატები და ადგილმდებარეობის მისამართი და ფართობი;

ე) დაზღვეული მიწის ნაკვეთის ფართობი;

ვ) დაზღვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურა და სადაზღვევო თანხა;

ზ) დაზღვევის პერიოდი;

თ) დამზღვევის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემია;

ი) სააგენტოს მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა;

კ) სადაზღვევო პოლისის ინდივიდუალური შტრიხ-კოდი.

4. მზღვეველი ვალდებულია, ანგარიშგებით წარდგენილი პოლისები შესაბამისი დოკუმენტაციის (განაცხადი, დამზღვევის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება პროგრამაში მონაწილეობის შესახებ, დამზღვევის მიერ თავისი წილი პრემიის გადახდის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს იმ სადაზღვევო პოლისის შტრიხ-კოდი, რომლის საფუძველზეც იქნა გადახდილი სადაზღვევო პრემია) თანდართვით მატერიალური სახით წარუდგინოს სააგენტოს არა უგვიანეს ანგარიშგების წარდგენის თვის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.
5. სააგენტოს მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემია (N1 დანართის შესაბამისად) გადახდას ექეემდებარება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით მიღებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, წინამდებარე პროგრამით განსაზღვრული სუბსიდირების წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პოლისი გაყიდულია პროგრამის N1 დანართით განსაზღვრულ ფიქსირებულ ტარიფში.
6. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველის მიერ წარდგენილი ანგარიშგება/მატერიალური დოკუმენტაცია განხორციელებული დაზღვევის შესახებ შეიცავს მცდარ/არაზუსტ ან არასრულყოფილ ინფორმაციას, მზღვეველი დაჯარიმდება შემდეგი წესის მიხედვით:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის ან გადახდის ფაქტის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში - თითოეულ ასეთ პოლისზე 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ) დაზღვევის განაცხადთან შეუსაბამო დამზღვევის მისამართის, დამზღვევის პირადი ნომრის/საიდენტიფიკაციო კოდის, საკადასტრო კოდის, დაზღვეული კულტურის ან/და პრემიის ოდენობის არ წარდგენის/არ მითითების ან არასწორად წარდგენის/მითითების შემთხვევაში - თითოეულ ასეთ პოლისზე 100 (ასი) ლარით;

გ) GPS კოორდინატების არაზუსტად მითითების შემთხვევაში - თითოეულ ასეთ მიწის ნაკვეთზე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, თუ მითითებული GPS კოორდინატები არ შეესაბამება დაზღვეული მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობას (სოფელი, დაბა, ქალაქი). მზღვეველი დაჯარიმდება ამ პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების საფუძველზე, თუ შესაბამისი თვის ანგარიშგებით წარდგენილი პოლისების 5% შეიცავს ამავე ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ხარვეზებს. ჯარიმის თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მზღვეველს ამ პუნქტით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორებისგან.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად მზდვეველს მიეცემა 10 კალენდარული დღე ხარვეზის გამოსწორების შესახებ წერილის მიღებიდან. აღნიშნულ ვადაში დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სააგენტო თავისუფლდება თავისი წილი პრემიის გადახდისგან, რასთან დაკავშირებითაც სააგენტო აცნობებს მზღვეველს თითოეულ ასეთ პოლისზე თავისი წილი პრემიის გადახდაზე

უარის საფუძვლის მითითებით.

8. სააგენტო უფლებამოსილია, ჯარიმის სახით დაკისრებული თანხები გაქვითოს მზღვეველისათვის გადასახდელი ნებისმიერი ფულადი სახსრებიდან. თუ სააგენტოს მიერ არ ხორციელდება ჯარიმის გამოქვითვა, სააგენტოს მიერ დაკისრებული ჯარიმა მზღვეველის მიერ გადახდილ უნდა იქნეს მოთხოვნიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა.
9. სააგენტოს მიერ წინამდებარე მუხლით განსაზღვრული საფუძვლებით სუბსიდირებული სადაზღვევო პრემიის გადახდაზე უარის თქმა არ ათავისუფლებს მზღვეველს, შეასრულოს დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები დამზღვევის/მოსარგებლის წინაშე სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.
10. პროგრამის ფარგლებში, სადაზღვევო პოლისების გაყიდვისთვის გასაცემი საკომისიოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო ტარიფის 20%-ს.

მუხლი 6. სადაზღვევო პრემიის გადახდის წესი

დამზღვევი ვალდებულია, სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის დამზღვევისათვის განსაზღვრული წილი გადაიხადოს პოლისის გაცემისთანავე სრულად და ერთჯერადად. სადაზღვევო პრემიის დარჩენილი ნაწილის გადახდას უზრუნველყოფს სააგენტო N1 დანართის შესაბამისად.

მუხლი 7. დაზღვევის მოქმედების პირობები

დაზღვევის მოქმედების პერიოდში ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მიმართ მზღვეველის ვალდებულება ძალაში შედის:

ა) ერთწლიან კულტურებთან მიმართებაში, თუ სადაზღვევო რისკი მომხდარია მას შემდეგ, რაც ნაკვეთზე ჩატარებულია შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კულტურის აგროწესებითა და აგროვადებით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, სასოფლო-სამეურნეო კულტურის 90% თანაბრად აღმოცენებულია და იმყოფება სავეგეტაციო პერიოდის მიწისზედა ორგანოების (მინიმუმ 10 სმ) განვითარების ფაზაში და მოქმედებს მოსავლის აღებამდე, სანერგე მასალის (ჩითილი) დარგვის შემთხვევაში - სანერგე მასალის (ჩითილის) ღია გრუნტში გადარგვიდან არა უადრეს 10 კალენდარული დღისა;

ბ) მრავალწლიან კულტურებთან მიმართებაში, თუ სადაზღვევო რისკი მომხდარია მას შემდეგ, რაც:

ბ.ა) ხილი - დაზღვეულ ტერიტორიაზე ხეებზე ნაყოფის 50% მიაღწევს 0.8 სმ-ს დიამეტრში, გარდა ბლის, ალუბლისა და თხილისა, რომელთა შემთხვევაშიც დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა ნაყოფი მიაღწევს 0.4 სმ-ს დიამეტრში;

ბ.ბ) კენკრა - მცენარეს გავლილი აქვს ყვავილობის ფაზა, ნაყოფი ხდება მკვეთრად გარჩევადი და ფორმირებულია ბუჩქზე;

ბ.გ) ყურძენი - გამოტანილია მტევანი (როდესაც მტევანი გაშლილი და ვიზუალურად გარჩევადია).

მუხლი 8. დაზღვევის მოქმედების შეწყვეტა

დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მზღვეველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;

ბ) სადაზღვევო პოლისის ვადის გასვლა;

გ) მოსავლის სრულად აღება დაზღვეული ტერიტორიიდან;

დ) მოსავლის ტექნიკური სიმწიფის დასრულება;

ე) მოსავლის ან სარგავი მასალის (ჩითილი) სრული განადგურება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით ან/და პროგრამით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 9. ზიანის ანაზღაურება

1. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანისათვის მზღვეველის მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება დაზღვეული ტერიტორიის ლიმიტის გამრავლებით ზიანის პროცენტზე, ხოლო დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის დაზიანების შემთხვევაში - დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის ლიმიტის გამრავლებით ზიანის პროცენტზე. ამასთან, მზღვეველის მიერ წინამდებარე პუნქტში მითითებული წესით გაანგარიშებულმა სადაზღვევო ანაზღაურებამ არ უნდა გადააჭარბოს რეალური ზიანის ოდენობას, მითითებული ორი სიდიდიდან იმ თანხას, რომელიც უფრო მცირე იქნება : სადაზღვევო რისკების ხდომილების შედეგად განადგურებული მოსავლის რეალურ ღირებულებას ან ნორმატიული ფასის მიხედვით გაანგარიშებულ ღირებულებას, თუ მზღვეველსა და დამზღვევს ან მოსარგებლეს შორის სხვა შეთანხმება არ იქნა მიღწეული.
2. მზღვეველის პასუხისმგებლობა მცირდება მზღვეველის მიერ გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობით.
3. განადგურებული მოსავლის რეალური ღირებულების გამოანგარიშებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:

ა) მიმდებარე ტერიტორიებიდან ანალოგიური სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის აღების პერიოდში მისი საშუალო საბაზრო ფასი. საშუალო საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია მიღებულ უნდა იქნეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ან დადგენილ უნდა იქნეს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნით;

ბ) სადაზღვევო შემთხვევის დღისათვის განსაზღვრული მისაღები მოსავლის ოდენობა.

4. როდესაც დაზღვეული ტერიტორია ან ტერიტორიის ნაწილი დაზიანებულია დაზღვეული რისკის შედეგად იმდენად, რომ მიკროკლიმატური ფაქტორების და დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით მიზანშეწონილია გადათესვა/გადარგვა, მზღვეველი აანაზღაურებს გადარგვა/გადათესვის დადასტურებულ ხარჯებს, მაგრამ არა უმეტეს დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის სადაზღვევო ლიმიტის 20% -ისა.
5. თუ გადათესვა/გადარგვა მიზანშეწონილია, მაგრამ დამზღვევი გადაწყვეტს, არ განახორციელოს გადათესვა/გადარგვა, მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის სადაზღვევო ლიმიტის 15%-ის ოდენობით. ასეთ შემთხვევაში, ტერიტორიის ამ ნაწილთან მიმართებაში დაზღვევა წყდება. დარჩენილ დაზღვეულ ტერიტორიასთან მიმართებაში სადაზღვევო ლიმიტი მცირდება პროპორციულად.
6. დამზღვევი უფლებამოსილია, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ტერიტორიიდან აიღოს მოსავალი მზღვეველთან ზიანის ოდენობაზე დადებული წერილობითი შეთანხმების გაფორმების შემდეგ.
7. თუ აღმოჩნდება, რომ დაზღვეული ტერიტორიიდან მისაღები მოსავლის ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე პოლისში დაფიქსირებული სადაზღვევო ლიმიტი, სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა პროპორციულად შემცირდება.
8. თუ ერთი დაზღვევის ობიექტი დაზღვეულია რამოდენიმე მზღვეველის მიერ, კონკრეტული მზღვეველის მიერ გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა გამოითვლება სადაზღვევო დაფარვის მთლიან მოცულობაში მისი წილის პროპორციულად.
9. თუ სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის ვერ ხერხდება მიწის ნაკვეთის დაზიანების პროცენტზე შეთანხმება, შეჩერდება ზიანის დარეგულირება ამ მაჩვენებლის დადგენამდე. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია დაინიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა/მოწვეულ იქნეს დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელთან დაკავშირებული ხარჯი თანაბრად იქნება განაწილებული დავაში მონაწილე პირებზე.

მუხლი 10. სააგენტოს, მზღვეველისა და დამზღვევის უფლება-მოვალეობები

1. სააგენტო უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს მზღვეველს ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა, რაც დაკავშირებულია სააგენტოს თანადაფინანსებასთან ან პროგრამის მიმდინარეობასთან;

ბ) ნებისმიერ დროს, მზღვეველთან ან დამზღვევთან წინასწარ შეთანხმების გარეშე, განახორციელოს დამზღვევის/მოსარგებლის, დაზღვევის ობიექტის და მზღვეველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულელებების მონიტორინგი პირადად ან დამიუკიდებელი სპეციალისტების/ექსპერტების და/ან აუდიტორების მეშვეობით, რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) საველე და დოკუმენტურ მონიტორინგს. მონიტორინგის განხორციელების წესს შეიმუშავებს სააგენტო;

გ) დამზღვევის მიერ დასაზღვევი ტერიტორიის ხელოვნურად შემცირების/დაყოფის ან/და დაზღვევის ობიექტის შესახებ არასწორი ინფორმაციის მიწოდების ან/და პროგრამის საფუძველზე სუბსიდიის მიღების უფლების შესახებ არასწორი ინფორმაციის შემთხვევაში, დააკისროს დამზღვევს ჯარიმა სააგენტოს მიერ გადახდილი პრემიის ორმაგი ოდენობით. ამასთან, ასეთ პოლისთან მიმართებაში მზღვეველი თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისგან სრულად და მას არ წარმოეშობა დამზღვევისათვის გადახდილი სადაზღვევო პრემიის დაბრუნების ვალდებულება.

2. სააგენტო ვალდებულია, გადაიხადოს სადაზღვევო პრემიის N1 დანართით განსაზღვრული მისი წილი, წინამდებარე პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
3. მზღვეველი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს სააგენტოს ანგარიშგებით წარდგენილ პოლის(ებ)ზე სააგენტოს წილი სადაზღვევო პრემიის გადახდა;

ბ) დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ნებისმიერ დროს, თავად ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით მოახდინოს დაზღვეული ტერიტორიის შემოწმება. შემოწმების შედეგად შეადგინოს დათვალიერების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მზღვეველი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი და დამზღვევი/მოსარგებლე;

გ) მოსთხოვოს დამზღვევს ყველა იმ დოკუმენტის წარდგენა, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის, სადაზღვევო ინტერესის დადგენისა და სადაზღვევო ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრისათვის;

დ) არ აანაზღაუროს ზიანი, თუკი სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ დადგინდება, რომ დამზღვევი/მოსარგებლე არ იყო უფლებამოსილი, მიეღო პროგრამით განსაზღვრული სუბსიდირება;

ე) განახორციელოს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

4. მზღვეველი ვალდებულია:

ა) წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული წესით დამზღვევის/მოსარგებლის იდენტიფიცირებიდან 30 კალენდარული ღდის ვადაში უზრუნველყოს დაზღვეული ტერიტორიის დათვალიერება და დაზღვეული დაზიანებული მიწის ნაკვეთის დათვალიერების აქტის შედგენა;

ბ) დამზღვევს შესთავაზოს მხოლოდ წინამდებარე პროგრამით განსაზღვრული სადაზღვევო პირობები;

ბ) შექმნას პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს დამზღვევის/მოსარგებლის უფლებას, შეუფერხებლად დაუკავშირდეს ან შეხვდეს მზღვეველის წარმომადგენელს სადაზღვევო მომსახურებაში არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით;

დ) 30 კალენდარული დღით ადრე აცნობოს სააგენტოს სადაზღვევო პოლისების გაცემის შეწყვეტის შესახებ;

ე) დაზღვევა განახორციელოს (გასცეს სადაზღვევო პოლისი) თითოეული კულტურისათვის სააგენტოსა და მზღვეველს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ვ) შეასრულოს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

5. დამზღვევი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს სააგენტოს თავის სადაზღვევო პოლისზე სააგენტოს წილი სადაზღვევო პრემიის გადახდა, თუ იგი აკმაყოფილებს ამ განკარგულებით დამზღვევისათვის დადგენილ კრიტერიუმებს;

ბ) დაზღვევის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსთხოვოს მზღვეველს სადაზღვევო პოლისის გაცემა;

გ) მოსთხოვოს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა დაზღვევის ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით;

დ) განახორციელოს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

6. დამზღვევი ვალდებულია:

ა) სრულად და ერთჯერადად გადაიხადოს მისი წილი სადაზღვევო პრემია სადაზღვევო პოლისის გაცემის მომენტისათვის;

ბ) შეასრულოს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 11. სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის დაზღვევა

იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის დაზღვევა, რომლებიც აღნიშნული არ არის N1 დანართში, მოხდება პროგრამაში მონაწილე ყველა მზღვეველისა და სააგენტოს შეთანხმებით.

დანართი N 1

სასოფლო-სამეურნეო კულტურა	სუბსიდირების წილადობა	სუბსიდირების წილადობა რეგისტრირებული ნაკვეთის შემთხვევაში	დაზღვევის თანამონაწილეობა	დაზღვევის თანამონაწილეობა რეგისტრირებული	მინიმალური სადაზღვევო ტარიფი	მაქსიმალური სადაზღვევო ტარიფი	ნორმატიული ფასი ლარი/ა	ნორმატიული ფასი ლარი/ha	ნორმატიული ფასი კგ/ა
მარცვლეული კულტურები									
ხორბალი ქერი სიმინდი	70%	80%	30%	20%	6.00%	8.50%	1,500 1,320 2,250	0.6 0.6 0.5	3000 2200 4500
პარკოსანი კულტურები									
ლობიო მზესუმზირა სოიო	70%	80%	30%	20%	6.00%	7.80%	3,400 2,300 2,500	2 1 1	1700 2300 2500
ბოსტნეული კულტურები									
ბადრიჯანი წიწაკა კომბოსტო პომიდორი კიტრი კარტოფილი ხახვი ნიორი სტაფილო ჭარხალი	70%	80%	30%	20%	8.00%	11.00%	15,000 15,000 15,200 12,000 13,500 15,000 12,500 14,400 16,250 15,000	0.5 0.5 0.4 0.4 0.5 0.6 0.5 1.8 0.65 0.5	28000 28000 38000 30000 27000 25000 25000 8000 25000 30000
ბაღჩეული კულტურები									
საზამთრო ნესვი	70%	80%	30%	20%	10.00%	13.00%	10,000 10,000	0.25 0.4	40000 25000
ვაზი									
თეთრი შავი	50%	60%	50%	40%	8.00%	12.00%	8,000 10000	0.8 1	10000 10000
ხეხილი									
ვაშლი მსხალი კომში ბალი, ალუბალი ატამი გარგარი ქლიავი	70%	80%	30%	20%	8.00%	11.00%	25,000 18,000 20,000 22,500 13,800 22,500 14,400	1 0.9 1 1.5 0.6 1.5 0.9	25000 20000 20000 15000 23000 15000 16000
კენკროვანი კულტურები									
მარწყვი ჟოლო მოცხარი მოცვი	70%	80%	30%	20%	10.00%	13.00%	13,500 14,000 12,000 32,000	1.5 2.8 2 4	9000 5000 6000 8000
კალოვანი კულტურები									
თხილი კაკალი	70%	80%	30%	20%	6.00%	7.80%	6,000 16,000	4 4	1500 4000
სუბტროპიკული კულტურები									
კივი სუბტროპიკული ხურმა, კარალიოკი ფეიხოა	70%	80%	30%	20%	10.00%	13.00%	18,000 10,800 1.2,000	1 0.6 1.5	18000 18000 8000
ციტრუსი									
მანდარინი ლიმონი	70%	80%	30%	20%	8.00%	11.00%	10,000 13,600	0.5 0.85	20000 16000

საბაჟო და სატარიფო რეგულაციები

რა შეიცვლება საბაჟო პროცედურებში?

DCFTA ითვალისწინებს საქართველოს საბაჟო სისტემაში ევროკავშირში მოქმედი სისტემის მსგავსი საბაჟო პროცედურების დანერგვას. მიზანი საქართველოსა და ევროკავშირის ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ერთნაირი საბაჟო რეგულირების გარემოს შექმნაა, რომელიც საქართველოს მეწარმეებს მისცემს საშუალებას მინიმუმამდე შეამცირონ დანახარჯები საქონლის ექსპორტისას.

მთლიანობაში, პროცესი ოთხწლიანია და მას საქართველოს მთავრობა ეტაპობრივად განახორციელებს, კერძოდ:

- 2016 წლიდან ძალაში შევა ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროპულ კოდექსთან, ხოლო 2016-2017 წლებში მიიღება მეორადი კანონმდებლობა;
- ტრანზიტის საბაჟო პროცედურისას, საქართველოს საბაჟოს მიერ გაცემული სატრანზიტო დოკუმენტაცია და გარანტია იმოქმედებს როგორც ევროკავშირში, ისე შვეიცარიაში, ნორვეგიასა და თურქეთში. გადამზიდავები ვალდებულნი აღარ იქნებიან, განმეორებით მოიპოვონ გარანტია ან ტრანზიტის ქვეყნის საბაჟოსთვის გააფორმონ დამატებითი დოკუმენტები საქონლის საქართველოს ტერიტორიიდან დანიშნულების ადგილამდე გატანის შესახებ;
- იმ შემთხვევაში, თუ საზღვარზე შეიქმნება სადავო სიტუაცია, ევროკავშირის საბაჟო სტრუქტურები გაატარებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა მოხდეს საქონლის დროული გაშვება, ხოლო გადასახდელების გადახდა გადავადდება და დაექვემდებარება კანონით გათვალისწინებულ გადახდის უზრუნველმყოფელ ღონისძიებებს. საჭიროების შემთხვევაში, საქონლის გაშვებისათვის ბისზესოპერატორმა უნდა წარადგინოს გარანტია, როგორიცაა თავდებობა ან დეპოზიტი;
- აღარ იქნება სავალდებულო საბაჟო ბროკერების გამოყენება, გადაზიდვისწინა შემოწმების ან დანიშნულების ადგილზე შემოწმების ჩატარება;
- მოსაკრებლებისა და გადასახდელების დაკისრება მოხდება მხოლოდ იმპორტიორის მოთხოვნის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ ის მოითხოვს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული სამუშაო პირობების, საათებისა და ადგილებისაგან განსხვავებული პირობებით მომსახურების გაწევას. ამ შემთხვევაში, მოსაკრებლებისა და გადასახდელების:
  - ოდენობა არ გადააჭარბებს მიწოდებული მომსახურების ხარჯებს
  - გამოთვლა არ განხორციელდება ადვალორულ პრინციპზე დაყრდნობით, ანუ არ იქნება დაკავშირებული საქონლის საინვოისო ღირებულებასთან
  - ახალი სახით დაწესება არ მოხდება მანამ, სანამ აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ არ გამოქვეყნდება.

საბაჟო ვალდებულებებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვის ვადა იქნება 3 წელი, ნაცვლად 6 წლისა.

ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით, 2016 წლისთვის დაინერგება "უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორის" ინსტიტუტი. აღნიშნული სტატუსი მიენიჭება საქართველოს ექსპორტიორებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ განსაზღრულ პირობებს. მისი საშუალებით, ისინი ნაკლები კონტროლის გარეშე უფრო სწრაფად და იაფად მოახერხებენ ევროკავშირში ექსპორტისას საბაჟო პროცედურების განხორციელებას. კრიტერიუმები, ამჟამად შემუშავების პროცესშია და საბოლოო სახით, სავარაუდოდ, 2016 წელს გახდება ცნობილი, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ისინი საკმაოდ მკაცრი იქნება. აღნიშნული სტატუსის მიღებისთვის, იარსებებს შემდეგი ზოგადი პირობები:

- ბიზნესოპერატორმა უნდა აწარმოოს კომერ-ციული და სატრანსპორტო დოკუმენტაციის სრული აღრიცხვა და ბოლო 3 წლის განმავლობაში მას არ უნდა ერიცხებოდეს საბაჟო/საგადასახადო დარღვევა;
- ბიზნესოპერატორმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დაადასტუროს გადახდისუნარიანობა და არ უნდა იყოს გაკოტრების რეჟიმში;
- ბოლო 3 წლის განმავლობაში მის ანგარიშზე არ უნდა ირიცხებოდეს საგადასახადო ან საბაჟო დავალიანება;
- ექსპორტიორს უნდა გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად, რასაც დაადასტურებს კომპანიის ფინანსური დოკუმენტაციით (საბანკო ამონაწერით, აუდიტორული შემოწმების დასკვნით და სხვ.);
- ბიზნესოპერატორი და მისი ინფრასტრუქტურა უნდა აკმაყოფილებდეს საბაჟოსთან დაკავშირებულ უსაფრთხოებისა და დაცვის სტანდარტებს. მაგალითად, საწყობი, რომელიც არ კონტროლდება საბაჟო ორგანოების მიერ, უნდა იყოს საიმედოდ დაცული. აღნიშნული წინაპირობა ყოველი სექტორისთვის განსხვავებულია თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ამიტომ ბიზნესოპერატორი, სტატუსის მიღების თაობაზე განაცხადის გაკეთებამდე, შემოსავლების სამსახურისგან მიიღებს ინფორმაციას მის სფეროში არსებული უსაფრთხოების სტანდარტების თაობაზე.

უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორის სერტიფიკატი ბიზნესსუბიექტზე გაიცემა ზემომოყვანილი კრიტერიუმების მიხედვით მისი კომპანიის სრული აუდიტის შემდეგ. მისი მიღების შემთხვევაში, ექსპორტიორი გაცილებით სწრაფად და მარტივად გაივლის საბაჟო პროცედურებს, ნაკლები ფიზიკური და დოკუმენტური კონტროლის ხარჯზე, ხოლო იმპორტის დროს ტვირთის ფიზიკური დათვალიერების შესახებ წინასწარ მიიღებს შეტყობინებას.

თუ საზღვარზე დადგება ტვირთის ფიზიკური შემოწმების აუცილებლობა, უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორი ჩადგება უპირატეს მდგომარეობაში. მას, ასევე, მიეცემა შემოწმების ადგილის არჩევის შესაძლებლობა.

რა შემთხვევაში გათავისუფლდება საქართველოში წარმოებული პროდუქცია საბაჟო გადასახადისგან?

DCFTA-ის ყველაზე მთავარი შედეგი არის ის, რომ საქართველოში წარმოშობილი საქონელი ევროკავშირში შესვლის დროს თავისუფლდება საბაჟო გადასახადისგან. თუმცა არსებობს რამდენიმე ასპექტი, რომლებსაც ექსპორტიორებმა ყურადღება უნდა მიაქციონ.

ევროკავშირში იმპორტისას საბაჟო გადასახადი საქართველოში წარმოშობილ საქონელზე გაუქმდება. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ნიორი (ახალი ან გაცივებული), რომელზეც საბაჟო გადასახადი გაუქმდება წლიური კვოტის - 220 ტონის - ფარგლებში.

თუ საქართველოდან ქართული ნივრის ექსპორტი ევროკავშირში აღნიშნულ წლიურ კვოტას გადააჭარბებს, იმპორტისას გამოიყენება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესაბამისი საბაჟო გადასახადის განაკვეთი.

ამასთან, საქართველოს ექსპორტიორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ პროდუქციის ნაწილზე ევროკავშირის მიერ დაწესებულია ე.წ. „შესვლის ფასი", ანუ ეს პროდუქტები ექვემდებარება საბაჟო გადასახადის გადახდას გარკვეულ პირობებში. აღნიშნული რეგულაცია, საქართველოს შემთხვევაში, ეხება მხოლოდ 28 დასახელების საქონლის ჯგუფს, რომლებიც მოცემულია შემდეგ ცხრილში:

საქონელი სასაქონლო კოდი

1. პომიდორი (ახალი ან გაცივებული) - 07020000
2. კიტრი (ახალი ან გაცივებული) - 07070005
3. არტიშოკი (ახალი ან გაცივებული) - 07099100
4. ყაბაყი (ახალი ან გაცივებული) - 07099310
5. ფორთოხალი ტკბილი (ახალი) - 08051020
6. კლემენტინები - 8052010
7. მონრეალი და სატსუმა - 08052030
8. მანდარინები და ვილკინგები - 08052050
9. ტანჟერინები - 8052070
10. ტანჟერინები, ORTANIQUES და MALAQUINAS ციტრუსის ჰიბრიდები - 08052090
11. ლიმონი (Citrus limon, Citrus limonum) - 08055010
12. სუფრის ჯიშების ყურძენი (ახალი) - 08061010
13. ვაშლი (ახალი, გარდა 16 სექტემბრიდან 15 დეკემბრამდე) - 08081080
14. მსხალი (ახალი, გარდა პერი (მსხლის სიდრი) ნაყარი სახით 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე) - 08083090
15. გარგარი (ახალი) - 08091000
16. მჟავე ალუბალი (ახალი) - 08092100

17. ბალი (ალუბლის გარდა, ახალი) - 08092900

18. ნექტარინები (ახალი) - 08093010

19. ატამი (ნექტარინების გარდა, ახალი) - 08093090

20. ქლიავი (ახალი) - 08094005

21. ყურძნის წვენი (ყურძნის ტკბილის ჩათვლით), დაუდუღებელი, ბრიქსის რიცხვით არაუმეტეს 30-ისა 20°C-ზე, ღირებულებით 100 კგ-ზე 18€-ზე მეტი შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერების დამატებით ან მათ გარეშე (გარდა სპირტის შემცველობით) - 20096110

22. ყურძნის წვენი (ყურძნის ტკბილის ჩათვლით), დაუდუღებელი, ბრიქსის რიცხვით 67-ზე მეტი 20°C-ზე, ღირებულებით 100 კგ-ზე 22€-ზე მეტი შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერების დამატებით ან მათ გარეშე (გარდა სპირტის შემცველობით) - 20096919

23. ყურძნის წვენი (ყურძნის ტკბილის ჩათვლით), დაუდუღებელი, ბრიქსის რიცხვით 30-ზე მეტი 20°C-ზე, ღირებულებით 100 კგ-ზე 18€-ზე მეტი შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერების დამატებით ან მათ გარეშე (გარდა სპირტის შემცველობით) - 20096951

24. ყურძნის წვენი (ყურძნის ტკბილის ჩათვლით), დაუდუღებელი, ბრიქსის რიცხვით 30-ზე ნაკლები, მაგრამ არანაკლებ 67-სა 20°C-ზე, ღირებულებით 100 კგ-ზე 18€-ზე მეტი შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერების დამატებით ან მათ გარეშე (გარდა კონცენტრირებულისა და სპირტის შემცველობით) - 20096959

25. ყურძნის ტკბილი, დაუდუღებელი, კონცენტრირებული, 22-ე თავის მე-7 დამატებითი შენიშვნის შესაბამისად, სიმკვრივით 1,33 გ/სმ3 ან ნაკლები 200°C ტემპერატურაზე და სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაციით არა უმეტეს 1მოც.%-ისა (გარდა ყურძნის ტკბილისა, რომლის დუღილი შეჩერებულ იქნა დუღილის პროცესში სპირტის დამატებით) - 22043092

26. ყურძნის ტკბილი, დაუდუღებელი, არაკონ-ცენტრირებული, სიმკვრივით 1,33 გ/სმ3 ან ნაკლები 200°C ტემპერატურაზე და სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაციით არა უმეტეს 1მოც.%-ისა და არანაკლებ 0,5 მოც.%-ზე ნაკლები (გარდა ყურძნის ტკბილისა, რომლის დუღილი შეჩერებულ იქნა დუღილის პროცესში სპირტის დამატებით) - 22043094

27. ყურძნის ტკბილი, დაუდუღებელი, კონცენტრირებული 22-ე თავის მე-7 დამატებითი შენიშვნის შესაბამისად, სიმკვრივით 1,33 გ/სმ3-ზე მეტი 200°C ტემპერატურაზე და სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაციით არა უმეტეს 1მოც.%-ისა და 0,5მოც.%-ზე ნაკლები (გარდა ყურძნის ტკბილისა, რომლის დუღილი შეჩერებულ იქნა დუღილის პროცესში სპირტის დამატებით) - 22043096

28. ყურძნის ტკბილი, დაუდუღებელი, არაკონ-ცენტრირებული, სიმკვრივით 1,33 გ/სმ3-ზე მეტი 200°C ტემპერატურაზე და სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაციით არა უმეტეს 1მოც.%-ისა და 0,5მოც.%-ზე ნაკლები (გარდა ყურძნის ტკბილისა, რომლის დუღილი შეჩერებულ იქნა დუღილის პროცესში სპირტის დამატებით) - 22043098

ჩამოთვლილი პროდუქტების ევროკავშირში შეტანისას იმპორტიორი გადაიხდის საბაჟო გადასახადს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში წარმოშობილი პროდუქციის საინვოისო ღირებულება ევროკავშირის მიერ დადგენილ ფასზე დაბალი იქნება. თუ ეს ფასი დაწესებულ ზღვარზე მაღალია, პროდუქცია თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისგან. ასევე, აღსანიშნავია, რომ ადვალორული გადასახადი საქართველოსთვის გაუქმებულია (იხ. დეტალური ახსნა ქვემოთ).

ე.წ. „ბაზარზე შესვლის ფასს“, სტატისტიკურ ნომენკლატურას და ერთიან საბაჟო ტარიფს განსაზღვრავს ევროკომისიის რეგულაცია (EU) 927/2012, სადაც მოცემულია თითოეულ პროდუქტზე არსებული ზღვრები და შესაბამისი საბაჟო გადასახადი სეზონების მიხედვით.

ქვემოთ განხილულია 2 მაგალითი:

მაგალითი 1: ვაშლი - „შესვლის ფასის“ მოქმედების წესი

დავუშვათ, ქართულ კომპანიას სურს საქართველოში მოყვანილი ვაშლის ევროკავშირში ექსპორტი. ზემომოყვანილ ცხრილში ჩანს, რომ აღნიშნული პროდუქტი „შესვლის ფასის“ რეგულაციას ექვემდებარება და ის სეზონის მიხედვით იცვლება. იმისთვის, რომ ექსპორტიორმა წინასწარ განსაზღვროს, დაექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქონლის შეტანა საბაჟო გადასახადს, მან უნდა იხილოს ევროკომისიის რეგულაცია N(EU)927/2012 და მოძებნოს მასში ვაშლი:

0808 10 10 - სიდრის ვაშლზე (მაგალითად, ანტონოვკა) 16 სექტემბრიდან 15 დეკემბრამდე მოქმედებს ადვალორული გადასახადი - ღირებულების 7,2%, თუმცა ეს გადასახადი საქართველოსთვის, როგორც ზემოთ აღინიშნა, გაუქმებულია.

0808 10 80 - ვაშლის დანარჩენი სახეობებისთვის უნდა ვიხილოთ იმავე რეგულაციის დანართი 2, რომლის სიაც საკმაოდ გრძელია და ტარიფიც ყოველი სეზონისთვის სხვადასხვაა. განვიხილოთ, პერიოდი 1 იანვარი - 14 თებერვალი:

ზოგადად, „შესვლის ფასი“ ორი კომპონენტისგან შედგება: ადვალორული (პროცენტული) გადასახადი და სპეციფიკური ტარიფი. ქართული წარმოშობის მქონე პროდუქტებზე ადვალორული გადასახადი გაუქმებულია.

1 იანვრიდან 14 თებერვლამდე (იხ. ცხრილი) ვაშლზე არსებობს შესვლის ფასი - 1 ტონაზე 568 ევრო, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ ვაშლის საიმპორტო ღირებულება აღემატება 1 კგ-ზე 0,57 ევროს, ის თავისუფლდება ყოველგვარი საბაჟო გადასახადისგან, რადგან არსებული ადვალორული გადასახადი 4% ქართულ ვაშლზე 0-ის ტოლია. თუ ვაშლის ღირებულება იმავე პერიოდში ტონაზე 557 ევროსა და 568 ევროს შორისაა, იმპორტიორს ყოველ კგ-ზე 0,011 ევროს გადახდა მოუწევს. ხოლო ადვალორული გადასახადი, როგორც წინა შემთხვევაში, 6,4%-ის ოდენობით გაუქმებულია.

მაგალითი 2: ატამი - „შესვლის ფასის“ მოქმედების წესი

იგივე პრინციპი მოქმედებს, მაგალითად, ატმის შემთხვევაშიც. მისი სასაქონლო კოდია 0809 30 და იყოფა ორ ჯგუფად:

0809 30 10 - ნექტარინები

0809 30 90 - ატმის სხვა დანარჩენი ჯიშები

აქაც საჭიროა ვიხილოთ დანართი 2, სადაც ატმის ყველა ჯიშისთვის (გარდა ნექტარინებისა) მოქმედებს შემდეგი წესები:

მაგალითად, 1 იანვრიდან 10 ივნისამდე არსებობს ადვალორული გადასახადი 17,6%-ის ოდენობით, რომელიც საქართველოსთვის გაუქმებულია. თუ საიმპორტო ფასი 1 ტონა ატამზე, 11-დან 20 ივნისის ჩათვლით, 883 ევროზე მეტია, ის თავისუფალია ყოველგვარი საბაჟო გადასახადისგან. ხოლო თუ ფასი იმავე პერიოდში 865 ევროსა და 883 ევროს შორისაა, მაშინ იმპორტიორს მხოლოდ 0,018 ევროს გადახდა მოუწევს 1 კგ ატამზე.

(გაგრძელება იხილეთ შემდეგ ნომერში)

მითი, რომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება და უვიზო მიმოსვლა გამოიწვევს საქართველოდან შრომითი რესურსების, მათ შორის, კვალიფიციური მუშახელის გადინებას ევროკავშირის ქვეყნებში - მცდარია!

შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლის ამოქმედება შესაძლებლობას აძლევს საქართველოს მოქალაქეებს, მოქმედი ბიომეტრიული პასპორტით (რომლის ვადა არ უნდა იყოს 6 თვეზე ნაკლები საქართველოში დაბრუნების დღისთვის), ვიზის გარეშე განახორციელონ მხოლოდ მოკლევადიანი ვიზიტები, რაც გულისხმობს 90 დღეს 180 დღის განმავლობაში. უვიზო რეჟიმი გულისხმობს თავისუფალ გადაადგილებას შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს შემდეგ ქვეყნებს: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი, ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია, შვეიცარია, ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი და ხორვატია.

შენგენის ქვეყნებში 90 დღის პერიოდით ყოფნის შემდეგ, საქართველოს მოქალაქემ უნდა დატოვოს შენგენის ზონა, ხოლო მომდევნო შესვლა შესაძლებელია მომდევნო 90 დღის (ჯამში 180 დღე) გასვლის შემდგომ. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ უვიზო რეჟიმი არ ეხება გრძელვადიან ვიზიტებს, მაგალითად, განათლების მიღების, მუშაობის ან სხვა მიზნით. ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე ხანგრძლივი პერიოდით დარჩენის სურვილის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეებმა უნდა მიმართონ საქართველოში აკრედიტებულ შესაბამისი ქვეყნის საკონსულოს ვიზის მისაღებად.

ევროკავშირის/შენგენის ქვეყნის ტერიტორიაზე 90 დღიანი ყოფნის ვადის გადაცილების შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქე ჩაითვლება არალეგალად და იგი დაექვემდებარება რეადმისიას, ანუ საქართველოში დაბრუნებას. აღსანიშნავია, რომ ასეთი ფაქტის შემდგომ, მოქალაქეს შეეზღუდება შენგენის ტერიტორიაზე შესვლა 5 წლით ან დაეკისრება ჯარიმა 3000 ევროს ოდენობით. ასევე, შენგენის/ევროკავშირის ტერიტორიაზე შესასვლელად, საქართველოს მოქალაქისათვის აუცილებელია, რომ ის არ იყოს იმ პირთა სიაში, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ წესრიგსა და შიდა უსაფრთხოებას, რომლებსაც აკრძალული აქვთ ზემოხსენებული ქვეყნებიდან მინიმუმ ერთ ქვეყანაში შესვლა, არ უნდა იყოს ნასამართლევი შენგენის/ევროკავშირის წევრ ნებისმიერ ქვეყანაში სისხლის სამართლის ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მინიმუმ 1 წლით, არ უნდა იყოს ქვეყნიდან გაძევების (დეპორტაცია) ან უკან დაბრუნების (რეადმისია) შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ობიექტი, არ უნდა არსებობდეს დანაშაულებრივ საქმიანობაში მისი მონაწილეობის, ან ასეთი განსაზღვრის შესახებ უტყუარი მტკიცებულებები.

საქართველოს მოქალაქის იდენტიფიცირება, რომელიც ბიომეტრიული პასპორტით გადაკვეთს შენგენის ზონას, შესაძლებელი იქნება ძალიან მოკლე ვადაში. შესაბამისად, პიროვნებას ექნება არჩევანი - მოექცეს სამართლებრივ ჩარჩოში და შეუზღუდავად იმოგზაუროს შენგენის ზონაში დადგენილ ვადებში, ან დაარღვიოს აღნიშნული ნორმები, და დაკავებისა და იდენტიფიცირების შემთხვევაში, შემდგომ წლების განმავლობაში საერთოდ აეკრძალოს შენგენის სივრცეში შეღწევა.

პომიდორი ერთწლოვანი მცენარეა, რომელიც ძაღლყურძენასებრთა (Solanaceae) ოჯახს მიეკუთვნება. ხელსაყრელ გარემოში (მაგ., ტროპიკებში და სათბურში) შეიძლება მრავალწლოვანიც იყოს. მისი ყველა ჯიში მიეკუთვნება ერთ სახეობას - Lycopersicum esculentum Mill. ამავე სახეობას მიეკუთვნებიან წვრილნაყოფა, ველურად მოზარდი მოცხარისებური და ალუბლისებური ფორმები.

პომიდვრის, როგორც პროდუქტის კვებით ღირებულებას, კარგ გემურ თვისებებთან ერთად, მის ნაყოფში ნახშირწყლების, აზოტოვანი ნივთიერებების, ბიოკატალიზატორების და მინერალური მარილების შემცველობა განაპირობებს.

ნაყოფი

პომიდვრის ნაყოფი კენკრაა - ორი, სამი, ოთხი ან მრავალბუდიანი. ფორმის მიხედვით გვხვდება: მოცხარისებრი, ალუბლისებრი, მსხლისებრი, ქლიავისებრი, სფეროსებრი, ბრტყელი და ოვალური. მათგან ყველაზე მეტად გავრცელებულია მრგვალი და სფეროსებრი ფორმის ნაყოფიანი ჯიშები.

ფერის მიხედვით ნაყოფი შეიძლება იყოს: წითელი, ყვითელი და მოთეთრო, რომელთაგან ყველაზე მეტად გავრცელებულია წითელნაყოფიანი ჯიშები.

პომიდვრის ჯიშების ნაყოფები ზომის მიხედვით იყოფა: წვრილნაყოფიანებად (70გ-მდე), საშუალო (70-100 გრ) და მსხვილნაყოფიანებად (100 გ-ზე მეტი). ნაყოფის წონა დამოკიდებულია ჯიშზე და მოყვანის პირობებზე. პომიდვრის ნაყოფი თესლის შემცველობის მიხედვით შეიძლება იყოს: მრავალთესლიანი და მცირეთესლიანი. გემური თვისებების მხრივ, პომიდვრის ისეთი ჯიშის ნაყოფები, რომელთაც თესლი მცირე რაოდენობით მოეპოვებათ, უფრო მაღალხარისხოვნად ითვლება, ვიდრე მრავალთესლიანი ნაყოფები.

გემური თვისებების შეფასებისას, პომიდვრის კანის სისქესაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა. რაც უფრო თხელია კანი, მით უფრო გემრიელია ნაყოფი, მაგრამ ტრასპორტაბელობა ცუდი აქვს. კულტურული პომიდვრის ჯიშები მიეკუთვნებიან სამ ძირითად ჯგუფს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც გარეგნობით, ისე ფოთლების, ყვავილედების (მტევნების) და გვერდითი ყლორტების წარმოქმნის დინამიკით. ეს ჯგუფებია:

მაღალმოზარდი (ძლიერად მოზარდი, ინდეტერმინანტული) ტიპი

პომიდვრის ასეთი ჯიშები, ჩვეულებრივ, მოჰყავთ საყრდენებზე, ისინი თხოულობენ ნამხრევების გამუდმებულ შეცლას და საყრდენებზე მრავალჯერად აკვრას.

დაბალმოზარდი (დეტერმინანტული ტიპი)

პომიდვრის ბუჩქი ხასიათდება ზრდის მოკლე პერიოდით, დაბალმოზარდი (40-50 სმ) ღეროთი, ფოთლებისა და ყვავილედების სიუხვით. პომიდვრის შტამბიან ბუჩქებს აქვთ სქელი, მაგარი და მდგრადი ღერო, რომელიც სწორმდგომია და ჩვეულებრივ არ გაირთხმება.

გარდამავალი ტიპი

ეს ტიპი წარმოადგენს პირველ და მეორე ტიპს შორის გარდამავალს. გენერაციული და ვეგეტატიური ორგანოების განვითარების თავისებურებით შტამბიანი ჯიშები წააგავს დეტერმინანტულ ტიპს, თუმცა არის გამონაკლისიც, რომელიც უფრო ახლოსაა ინდეტერმინანტულ ტიპთან.

ჯიშები

პომიდვრის ჯიშები ნაყოფის მომწიფებისა და შემოსვლის მიხედვით იყოფიან საადრეოდ, საშუალოდ, საგვიანოდ და მათ შორის გარდამავლად.

საადრეო ჯიშები მწიფე ნაყოფებს, ხელსაყრელ პირობებში, აღმოცენებიდან 95-110 დღეზე იძლევიან, დარგვიდან კი, 50-60 დღის შემდეგ. საშუალო პერიოდის ჯიშები - აღმოცენებიდან 110-120-ე დღეზე, ხოლო დარგვიდან 65-75 დღის შემდეგ. საგვიანო - აღმოცენებიდან 120-125-ე დღეზე.

ერმაკი - ბუჩქი კომპაქტურია, დეტერმინანტული, ნაყოფი მომრგვალო-წაგრძელებული ფორმის, სიმაღლე 6,2 სმ, დიამეტრი 5,1 სმ, კანი და რბილობი მკვრივი, ბუდეების რაოდენობა 2-3, შეფერვა წითელი, გემო მოტკბო. ტიპური გადასამუშავებელი ჯიშია. მწიფე ნაყოფები მცენარეზე დიდი ხნით დაყოვნების შემთხვევაშიც ნაკლებად ზიანდებიან, რის გამოც ეს ჯიში მოსავლის აღების ჯერადობის შემცირების კარგ საშუალებას იძლევა.

ანჯელა გიგანტი - მიუხედავად სახელწოდებისა, ბუჩქი

რჩევა ფერმერებისთვის – პომიდვრის აგროტექნოლოგია

კომპაქტურია, დეტერმინანტული. ნაყოფი მომრგვალო-წაგრძელებული ფორმის, სიმაღლე 6,5 სმ, დიამეტრი 5,2 სმ, წითელი შეფერვის. აქვს მკვრივი კანი და რბილობი მშრალია, ბუდიანობა 2-3, გამოსადეგია გადასამუშავებლად.

ამერიკული ყვითელი - ბუჩქი საშუალო სიძლიერის, ნაყოფი მომრგვალო ფორმის, სიმაღლე 6,8 სმ, დიამეტრი 7,8 სმ, კანის და რბილობის შეფერვა ყვითელი, რბილობი საშუალო სიმკვრივის, ნაკლებად წვნიანი, ბუდეების რაოდენობა 6, კულინარიული თვისებები საშუალო. ამ ჯიშის ნაყოფები გარეგნულად, ფორმით და შეფერილობით ძლიერ წააგავს ხურმის ნაყოფებს. გამოსადეგია როგორც გადასამუშავებლად, ისე სასალათედ.

პასესტერი - ბუჩქი კომპაქტურია, დეტერმინანტული, ნაყოფი მომრგვალო-წაგრძელებული ფორმის, სიმაღლე 6,2 სმ, დიამეტრი 5,1 სმ, ბუდეების რაოდენობა 2-3, კანი და რბილობი მკვრივი, შეფერვა წითელი. სხვა ჯიშებთან შედარებით, გამძლეა სოკოვანი დაავადებების მიმართ. ტიპური გადასამუშავებელი ჯიშია, გამოსადეგია სასალათედაც. მწიფე ნაყოფები, მცენარეზე დიდი ხნით დაყოვნების შემთხვევაშიც, ნაკლებად ზიანდებიან, რის გამოც, ეს ჯიში მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში აღების კარგ შესაძლებლობას იძლევა.

ტიუოლი - ბუჩქი დეტერმინანტულია, კომპაქტური, ნაყოფი მომრგვალო-წაგრძელებული ფორმისაა, სიმაღლე 6,1 სმ, დიამეტრი 4,8 სმ-ია, წითელი ფერის კანი და რბილობი მკვრივია, მცირე ბუდიანია (2-3), გემო მოტკბოა, ვარგისია გადასამუშავებლად.

რეანტო - ბუჩქი კომპაქტურია, ნაყოფი მომრგვალო-მობრტყო, სიმაღლე 4,5 სმ, დიამეტრი 6,3 სმ, წითელი შეფერვის, კანი და რბილობი საშუალო სიმკვრივის, უფრო წვნიანი, ვიდრე რიო გრანდე, ბუდეების რაოდენობა 3-5, გადასამუშავებელი ჯიშია, გამოდგება სასალათედაც.

რიო გრანდე - ბუჩქი კომპაქტურია, ნაყოფი მომრგვალო, ოდნავ წაგრძელებული ფორმის, სიმაღლე 6,0 სმ, დიამეტრი 5,1 სმ, კანი და რბილობი მკვრივი, მშრალი, ბუდეების რაოდენობა 2, თესლი მცირე, მოტკბო გემოსი, ტიპური გადასამუშავებელი ჯიშია.

ფალკონი - ბუჩქი საშუალო სიძლიერის, ნაყოფის ფორმა მომრგვალო-მობრტყო, სიმაღლე 7,6 სმ, დიამეტრი 8,6 სმ, ნაყოფები უმეტესად დიდი ზომისაა, იწონის 300-500 გრამს, ბუდეების რაოდენობა 6-7, ნაყოფი წითელი ფერისაა, კანი და რბილობი ხორციანი, კარგი კონსისტენციის, მოტკბო გემოსია. მოხმარების მიხედვით, ჯიში უნივერსალურია. კარგია როგორც სასალათედ, ასევე გადასამუშავებლად.

ვოლგოგრადსკი - ბუჩქი კომპაქტურია, ნაყოფი მომრგვალო-მობრტყო ფორმის, სიმაღლე 4,7 სმ, სიგანე 7,6 სმ, ბუდიანობა 6-8, კანი თხელი, ნაზი; რბილობი წვნიანი, ნაყოფის შეფერილობა წითელი, გემო მოტკბო-მომჟავო; ტიპური სასალათე ჯიშია.

ჭოპორტულა - ბუჩქი საშუალოზე ძლიერი ზრდისაა; საკმაოდ დატოტვილი, ნაყოფი მომრგვალო-მობრტყო ფორმის, სიმაღლე 7,2 სმ, დიამეტრი 8,9 სმ. ბუდეების რაოდენობა 7 (ექვსი პერიფერიული, ერთი ცენტრალური); კანი თხელი, წითელი შეფერილობის, რბილობი ნაზი, წვნიანი, კარგი გემოსი, მომჟავო-მოტკბოა. ტიპური სასალათე ჯიშია.

ვარდისფერი - ბუჩქი საშუალოზე ძლიერი ზრდისაა, დატოტვილი, ნაყოფი მომრგვალო-მობრტყო ფორმისაა, დიდი ზომის, სიმაღლე 7,2 სმ, დიამეტრი 8,6 სმ, შეფერვა მოვარდისფრო-წითელი, წვნიანი, აქვს მომჟავო-მოტკბო გემო, გამოსადეგია სასალათედ.

პომიდვრის აგროტექნიკა

ნიადაგის დამუშავება

ნიადაგის დამუშავება იწყება შემოდგომაზე ან ზამთრის პირას, ნაკვეთიდან წინამორბედი კულტურის აღებისა და ნარჩენების გაწმენდის შემდეგ ნაკვეთის აოშვით. აოშვა ტარდება 4-6 სმ სიღრმეზე, თუ ნაკვეთზე მრავალწლოვანი სარეველები იყო გავრცელებული, მაშინ - 10-12 სმ-ზე. მზრალად მოხვნა აღმოსავლეთ საქართველოში უნდა ჩატარდეს 25-30 სმ-ის სიღრმეზე, დასავლეთ საქართველოში - 20 სმ-ზე.

საადრეო ჩითილის გამოზრდა

პომიდვრის საადრეო მოსავლის მისაღებად, ჩითილი გამოჰყავთ კვალსათბურებში ან სათბურებში.

დაბლობ ზონაში, კვალსათბურებში თესლი უნდა დაითესოს თებერვლის პირველ ნახევარში, საშუალო საგვიანოსათვის - მარტში, ხოლო საგვიანოსათვის - აპრილში; მებოსტნეობის სხვა ზონებში, ორ-ორი კვირით უფრო გვიან. უფრო ადრე დათესვა არ არის მიზანშეწონილი, რადგან გადაზრდილი ჩითილი ცუდად ხარობს და მცენარე მალე ამთავრებს მსხმოიარობას. მუდმივ ადგილზე დარგვის მომენტისათვის, ჩითილს უნდა ჰქონდეს განვითარებული 7-9 ფოთოლი და პირველი საყვავილე მტევანი.

ჩითილის სათბურში გამოზრდა ღია გრუნტისათვის

პომიდვრის ჩითილის გამოსაყვანად, სათბურის 1 $მ^2$ ფართობზე ითესება 2-3 გრამი თესლი. მწკრივში თესლი უნდა ჩაითესოს ისეთ მანძილზე, რომ 1 $მ^2$ ფართობმა უზრუნველყოს 250-დან 300 ცალი ჩითილის გამოზრდა.

დარგვისას იყენებენ ყველა მიღებულ ხერხს: კვადრატულს, კვადრატულ-ბუდობრივს და ზოლებრივს.

კვადრატულის დროს, ძლიერი ზრდის ჯიშები შეიძლება დაირგოს 70x70 სმ-ზე. ასეთივე კვების არით შეიძლება დაირგოს დეტერმინანტული ჯიშებიც; ზოლებრივად დარგვისას, დეტერმინანტული ჯიშები შეიძლება დაირგოს (90+50)/2X30 სმ-ზე, შედარებით ძლიერი ზრდის ჯიშები (120+50)/2X35 სმ-ზე (ორმწკრივიანი ზოლები).

მოვლა

პომიდვრის მოვლის ძირითად სამუშაოებს შეადგენს: ნიადაგის გაფხვიერება, მიწის შემოყრა, სარეველა ბალახების მოსპობა, გამოკვება, მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა.

პომიდვრის სხვლა და ფორმირება

პომიდვრის გასხვლა და საყრდენზე აკვრა წარმოებს იმ მიზნით, რომ დავაჩქაროთ ნაყოფის დამწიფება და დავიცვათ იგი დალპობისაგან. აუკრავი პომიდვრის ნაყოფის ლპობას მასობრივად აქვს ადგილი მძიმე, ტენიან ნიადაგებზე და ნაკვეთის მოღვარვით მორწყვის დროს.

პომიდვრის გასხვლით ან ნამხრევების შეცლით ძლიერდება მცენარეზე დარჩენილი ყლორტებისა და სანაყოფე მტევნების კვება. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს ნაყოფის მალე დამსხვილებას და დამწიფებას.

პომიდვრის მოსავლიანობის გაზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს მცენარეების გამოკვება ორგანული და მინერალური სასუქებით.

პირველი გამოკვება ტარდება დარგვიდან 10-15 დღის შემდეგ, მეორე - პირველი გამოკვებიდან 20-25 დღის შემდეგ, მესამე - მეორე გამოკვებიდან 20-25 დღის შემდეგ.

პირველი გამოკვებისას ერთ ჰექტარზე შეაქვთ 50-100 კგ ამონიუმის გვარჯილა, 100-150 კგ სუპერფოსფატი, 50-100 კგ კალიუმის ქლორიდი. მომდევნო გამოკვებაზე, ერთ ჰექტარზე შეაქვთ 50-100 კგ ამონიუმის გვარჯილა, 50 კგ კალიუმის ქლორიდი.

პომიდვრის უხვი მოსავლის მისაღებად მორწყვა არა მარტო მშრალ რაიონებშია საჭირო, არამედ გვალვის დროს ყველა ზონაში.

პირველი მორწყვა ტარდება ჩითილის მუდმივ ადგილზე დარგვისთანავე. მეორე მორწყვა ტარდება, გამონაკლისის სახით, მცენარეების მუდმივ ადგილზე დარგვიდან რამდენიმე დღის (2-4) შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ ნიადაგი მსუბუქია, ამინდი ხანგრძლივად მშრალია და შესავსებია გაცდენილი ადგილების მნიშვნელოვანი რაოდენობა. სხვა შემთხვევაში, წყალი უნდა მიეწოდოს მხოლოდ ახლად გამორგულ მცენარეებს.

მოსავლის აღება

შორეული ბაზრისათვის პომიდორი, როგორც წესი, მწიფობის ადრეულ ფაზაში იკრიფება. როდესაც დანიშნულების ადგილზე მისატანად 10 დღეზე მეტია საჭირო, ნაყოფი იკრიფება სიმწიფის პირველ ფაზაში, ხოლო როდესაც ტრანსპორტირებისთვის საჭიროა 3-4 დღეზე მეტი - მეორე ფაზაში. ადგილობრივი ბაზრისთვის პომიდორი იკრიფება სიმწიფის მესამე და მეოთხე ფაზებში.

პომიდვრის ინდუსტრიული ტექნოლოგიით წარმოება ითვალისწინებს მოსავლის აღების მექანიზაციას სპეციალური კომბაინებით.

პომიდვრის ხელით კრეფა საქართველოს ბარის პირობებში ივნისის თვიდან იწყება და ნოემბრამდე გრძელდება. ნაყოფები იკრიფება 4-5 დღეში ერთხელ. დასუფთავებისა და დახარისხების შემდეგ, დაკრეფილ ნაყოფებს ათავსებენ ყუთებში და აგზავნიან სარეალიზაციოდ.

ხორბლის წარმოების საინვესტიციო შესაძლებლობები

საქართველო ხორბლის წარმოშობის პირველად კერას წარმოადგენს, რაც დასტურდება იმ ფაქტით, რომ მსოფლიოში ცნობილი ხორბლის 27 სახეობიდან საქართველოში აღმოჩენილი და აღწერილია 14 სახეობა, მათ შორის, 5 ენდემურია, რომლებიც მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის აღმოჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენდემური ჯიშებისათვის უმეტესად დამახასიათებელია დაბალი მოსავლიანობა, რაც კომერციული თვალსაზრისით ერთ-ერთი მიზეზია მათი წარმოებიდან თანდათანობით გაქრობისა და გადაშენების საშიშროების წარმოქმნის, უნიკალური ჯიშობრივი და ხარისხობრივი თვისებების გამო, ისინი მდიდარ გენეტიკურ მასალას წარმოადგენენ და მნიშვნელოვანია სამეცნიერო კვლევებისათვის. თუმცა არსებობს მაღალი საშუალო მოსავლიანობის ცალკეული შემთხვევებიც.

საქართველო ხორბლის ნეტო იმპორტიორი ქვეყანაა და, შესაბამისად, დიდი რაოდენობით ხორციელდება იმპორტი. ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ბოლო წლებში ძალიან დაბალია. არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2014 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 8% შეადგინა.

ხორბლის ძირითადი მწარმოებელი რეგიონებია: კახეთი, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი.

ადგილობრივი ხორბალი ბაზარზე ძირითადად ხელმისაწვდომია ივლისის და აგვისტოს თვეში. ივლისის ბოლომდე ხორბლის მოსავლის აღება მთავრდება კახეთში და ქვემო ქართლში, ხოლო შიდა ქართლში და სამცხე-ჯავახეთში, აგვისტოში. საქართველოში, ხორბლის საჰექტარო მოსავლიანობა დაბალია არასაკმარისი ცოდნის, დაბალხარისხიანი სათესლე მასალის გამოყენების და აგროტექნიკური ღონისძიებების დროული გაუტარებლობის გამო.

საინვესტიციო შესაძლებლობები

- მაღალკონდიციური თესლის წარმოება/მიწოდება
- თანამედროვე ტექნოლოგიებით ხორბლის წარმოების განვითარება
- წარმოების საშუალებების მიწოდება (მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასუქები და სხვა)
- სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებისა და ხელსაწყოების მიწოდება
- გადამამუშავებელი მოწყობილობების მიწოდება
- მარცვლეულის ელევატორებისთვის მომსახურების მიწოდება

თესვის და მოსავლის აღების პერიოდები



მოსავლიანობა

საქართველოში მოსავლიანობის პროცენტული წილი სხვა ქვეყნების მოსავლიანობასთან მიმართებაში			
სომხეთი	აზერბაიჯანი	თურქეთი	ევროკავშირი
59%	69%	65%	33%

წარმოება წლების მიხედვით (ტონა)



წარმოება რეგიონების მიხედვით



იმპორტი თვეების მიხედვით (1000 აშშ დოლარი)



ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები



ექსპორტ-იმპორტი წლების მიხედვით (1000 აშშ დოლარი)



 წლიური მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე (3 წლის საშუალო)
ერთ სულ მოსახლეზე ხორბლის წლიური მოხმარება შეადგენს 110 კგ-ს

ფინანსური მაჩვენებლები*	
ფართობი	1 ჰა
საწყისი საინვესტიციო კაპიტალი (მიწის ფასი)	5 000 ლარი
უკუგების პერიოდი	მე-5 წელი
IRR (8 წელი)	13 %